საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია! პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 18 იანვარი 1919 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

ხელის მოწერის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ღირს 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე: პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან არ უბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შეიძლება აგზავნონ შემდეგი მისამართით: თფილისი, ფოსტის ყუთი № 199 გაზ. „ერთობის" რედაქცია. სხვა ადგილას გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში შინაარსის მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადგილი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 14

ტელეფონი 16—62.

№ 13 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 13

დიდ-მამა მაკრინე და ალექსი, ძმები ალექსანდრე, ვლადიმერი, სამსონი და ვარდენი მიმინაშვილები, დაი ბარბარე (ძობუ) ქმრით მიხეილ სალაყაიები, რძლები: ოლღა ჭუბაბრიას ასული, მინა თურქიას ასული და ვასასი ფხაკაძის ასული აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ბრძოლის ველზე დაიღუპა სახ. გვარდ. პორუჩიკი

**ნესტორ ალექსის ძე მიმინაშვილი**

დაკრძალვა მოხდება იანვრის 21 (ძველი სტილით იანვრის 8-ს) ქალაქ ფოთში.

გულდათუთქულნი: მამა მიხეილ ცინცაძე, ძმა ილიკო, დები: ოლღა და ქრისტინე, ბიძიშვილები: ვალენტინ და ნოე ცინცაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ წლის წირვა და პანაშვიდი პეტროგრადში ტრაგიკულათ გარდაცვალებულ

**ალექსანდრე ცინცაძის**

სულის მოსახსენებლათ დანიშნულია ქ. ლანჩხუთში 18 იანვარს, 12 საათზე.

ღრმათ დამწუხრებულნი შვილები: ალექსანდრე ლორთქიფანიძე, ელისაბედი და ოლღა წერეთლები, ნინო ნადარეიშვილისა თავის ქმრით და შვილებით და რძალი ნინო პეტრეს ასული ლორთქიფანიძისა თავის შვილებით, ულრმეს მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი დედა

**მარიამი (მაკრინე) ნიკოლოზის ასული ლორთქიფანიძისა**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათზე. გამოსვენება შაბათს, 18 ამ თვეს, თავის ბინიდან, კოჩუბევის ქ. № 13, ანჩისხატის სობოროში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლ.

ღრმად დამწუხრებულნი: ძმა კონსტანტინე თუმანიშვილი ცოლით და შვილით, დაი ნატალია აბაშიძისა შვილებით და რძალი მელანია თუმანიშვილისა შვილებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი დაი

**მარიამ (მაკრინე) ნიკოლოზის ასული ლორთქიფანიძისა**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათზე. გამოსვენება მოხდება შაბათს, 18 იანვარს, დილით 10 საათზე, თავის ბინიდან (კოჩუბევის ქ., № 13) ანჩისხატის სობოროში, დაკრძალვა კი წმიდა ნინოს სასაფლაოზე. (2—1)

გულდამწვარნი მშობლები: პასიკო და ნესტორ, ძმა ვენედიქტე თავის მეუღლით პაშათი, დები პასიკო, ნინა და შუშანიკა, ბიძები: მელიტონ და სერაფიონ როსაპის ძე ნიჟარაძეები თავიანთ ოჯახებით, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ ქ. ბორჯომში (სახადით) ტიფით გარდაიცვალა ბორჯომის სადარაჯო რაზმის შტ.-კაპიტ.

**მიშა ნესტორის ძე ნიჟარაძე**

რომლის გარდასვენება ქუთაისში მოხდა 17 იანვარს.

გულმოკლულნი მეუღლე გაიანე, შვილები: იროდიონ და გერასიმე და რძალი ელენე აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ

**ესტატე როსტომის ძე ქავთარაძის**

გარდაცვალებას ქ. თფილისში, რომლის უკანასკნელი გამოთხოვება მოხდა ამა იანვრის 13 (ახ. სტ.) ორშაბათს ნაშუადღევის 2 საათზე.

## ფინანსთა სამინისტროსაგან

ფულის ტრიალის გასაადვილებლად და სახელმწიფოს არაჩვეულებრივი ხარჯების დასაკმაყოფილებლად, თანახმად საქართველოს პარლამენტის დადგენილებისა, რესპუბლიკის მთავრობა სცემს 50.000.000 მანეთის 5 პროც. მოკლე ვადიან სახელმწიფო ხაზინის ვალდებულებათა 1 წლის ვადით (ესე იგი 1 იანვრამდი 1920 წ.).

ვალდებულება უსახელოა და დაყოფილია შემდეგ კუპიურებათ: 5.000 მ., 1.000 მან., 500 მან., 100 მან. და 25 მან.

თუ მყიდველნი ისურვებენ, უსახელო ვალდებულებანი 5.000 მან. და 1.000 მანეთიანები შეიძლება გადაკეთდეს სახელობითი ვალდებულებათ, რაიცა უნდა ჩაიწეროს თფილისის ხაზინის დავთრებში.

**აღნიშნულ ვალდებულებათა სარგებელი განთავისუფლებულია სახელმწიფო გადასახადისაგან.**

**ვალდებულება მიიღება ხაზინაში ყოველივე შემოსავლის დასაფარავად და აგრეთვე საწინდარათაც.**

ვალდებულების შეძენა შეიძლება მხოლოდ ნაღდ ფულით.

ვალდებულებათა შეძენა შეიძლება 15 იანვრიდან სახელმწიფო ბანკში, რესპუბლიკის ყველა ხაზინებში, კერძო ბანკებში და საკრედიტო კოოპერატივებში. 10 3

## დამოუკიდებლობა

დამოუკიდებლობის საკითხი კვლავ საიმედო სახეს იღებს. ამ რამდენიმე ხნის წინეთ კი იგი თითქო ბურუსით იყო მოცული. საქართველოს დემოკრატიის რევოლიუციური ცაზე ყომრალი ღრუბლები მიმოქროდენ და სიტყვას გვიქადდენ. მეზობელმა არარატის რესპუბლიკამაც დრო გვიხელთა და მუხანათურად ზურგიდან თავს დაგვესხა. შინ ყოველი ჯურის და ტიპის მოძულენი და მტერნი ჩვენი დემოკრატიისა ბაყაყნდენ, კალმებს ააწრიპინებ, ენა გაილესეს და ჩვენს სათულავზე ფირხუსის დასაბმელად ემზადებოდენ.

რა იყო მიზეზი?

სულ უბრალო. შეთანხმების სახელმწიფოებში გაიმარჯვეს. გერმანია, რომელიც ჩვენი დამოუკიდებლობის ბურჯათ ითვლებოდა, დამარცხდა. დარწმუნებული იყვნენ, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა მხოლოდ გერმანიის სურვილზე იყო დამოკიდებული და მის გამარჯვებასთან შეკავშირებული.

ეს გამარჯვება ჩაქვდა და მასთან უნდა გამქრალიყო ჩვენი ბედის ვარსკვლავიც.

მაგრამ მტრებს ანგარიში გაუცრუვდათ. საქართველოს დემოკრატიას იმდენი პოლიტიკური უნარი აღმოაჩნდა, რომ მას გერმანიის გამარჯვებათა ბრწყინვალე დღეების ხანაშიც თავის ბედი ამ გამარჯვების სასწორზე არ დაუდევს. იგი არ ცდილობდა გერმანიის იმპერიალიზმს გაბლომოდა ბედისთანაზიარ მოკავშირეთ, თუმცა გერმანიასთან მეგობრული განწყობილება არ დაგვირღვევია. ამიტომ ჩვენ არც შეთანხმების სახელმწიფოთა გამარჯვების წინაშე ჩამოგვეყარია ფრთები. დამოუკიდებლობას ჰქონდა და აქვს ჩვენთვის ფასი და მნიშვნელობა თვით ჩვენი ხალხის დემოკრატიის ინტერესების მიხედვით. ჩვენ მხოლოდ ამ ინტერესებს ვემყარებოდით, და არა რომელიმე გარეშე ძალისას.

ჩვენ ამიტომ გერმანიის აქ ყოფნით არ გვისარგებლნა არც მეზობლების დასაჩაგრავათ, არც ომის ასატეხათ, არც ევროპის მებრძოლ სახელმწიფოთა კონფლიქტში ჩასარევათ, რომელიმე მხარეზე. გერმანიის მეგობრობაშიაც ჩვენ ვიცავდით ნეიტრალიტეტს, რამდენადაც ამის ძალა შეგვწევდა. ნეიტრალიტეტის პოზიციას ვადგევართ დღესაც.

ცხადი იყო აქედან, რომ მხოლოდ ჩვენ შესახებ არასწორი ცნობების მიცემით შეიძლებოდა შეთანხმების სახელმწიფოთა ჩვენზე გადამტერება. მტრებმა ამ ხერხით კიდეც ისარგებლეს. ინგლისის პირველი შემოსვლა ჩვენში, თითქოს კიდეც გამოიყენეს თავის სასარგებლოთ. ომი გამოგვიცხადეს ზოგმა ხმლით, ზოგმა ენით, წერით, დასმენით. შეთანხმების მისსიაც ამ დასმენას ერთგვარი ყურადღებით ეპყრობოდა, ჩვენს არსებობას, ჩვენს ნება-სურვილს თითქოს სრულიად უგულებელს ყოფდა, შეუმჩნევლათ სტოვებდა.

მაგრამ საქართველოს დემოკრატიას იმდენად დიდი ზნეობრივი და პოლიტიკური ძალა აღმოაჩნდა, რომ მისი არ დანახვა შეუძლებელი შეიქნა. შეთანხმების სახელმწიფოებმაც იგრძნეს ეს ძალა და პირი იბრუნეს. მართალია, ჩვენ ყოველთვის დარწმუნებული ვიყავით, რომ ინგლისს დიდი და გადაუვალი ინტერესები აქვს ამიერ კავკასიაში ისე, როგორც გერმანიას. პირველისთვის ეს ინდოეთის უზრუნველმყოფი ციხე-სიმაგრეა. მეორესთვის ინდოეთისაკენ გზის გამკაფავი იარაღია. ამიტომ აქ ყოფნასა და გამაგრებაზე არც ერთი უარს არ იტყოდა. საქმე მხოლოდ იმაში იყო, თუ ვის დაეყრდნობოდენ ეს სახელმწიფოები, ჩვენ დამოუკიდებლობას, თუ ჩვენ დამონებას.

ჩვენ მტერ მოყვრებს—ყველას სურდა ჩვენთვის მონობის უღელი, ხოლო უღლის დამდგმელათ დიდი რუსეთი, რომელიც მათ ოცნებაში უკვე აღმდგარათ ისახებოდა ინგლისელების წყალობით.

ჩვენ ამათ გესლიან ენას და ცბიერ მატყუარობას დავუპირდაპირეთ ჩვენი წმინდა დემოკრატიული მისწრაფებანი და სახელმწიფოებრივი შემოქმედების უნარი. და გამარჯვება ჩვენს მხარეზე გადმოვიდა. ინგლისმა იცნო საუკეთესოთ და უფრო მიზანშეწონილად დაინახა საქართველოს დამოუკიდებლობა ეცნა და არა მის დამონებაზე ეზრუნა. ამით ჩვენი დემოკრატიის საქმეს ერთი დიდი მოგება უკვე მიღებული აქვს. ჩვენს სახელმწიფოს გზა ეხსნება საერთაშორისო ოჯახში შესასვლელად და შინ თვის დემოკრატიული აღმშენებლობის საწარმოებლად.

მართალია ამით ყველაფერი არ გაკეთებულა, ამით მხოლოდ ნახევარი საქმეა მოგებული. მთავარი საბრძოლველი საგანი წინ გვიძევს. ესაა დამოუკიდებლობით ნამდვილათ სარგებლობა ჩვენის ინტერესების მიხედვით და არა სხვის ხელში სათამაშო ბურთათ გახდომა. მაგრამ ჩვენ გვწამს, ვინც შესძლო მკვეთრი იარაღის ხელში აღება, შესძლებს მის გამოყენებასაც მტრების მოსაგერიებლათ და თავის ინტერესების დასაცველად.

## აგრარული კანონ-პროექტი

III

მიწაზე კერძო საკუთრების ცნობა კიდევ არ ნიშნავს ყველა სადაო კითხვების გადაჭრას. საჭიროა ვიცოდეთ, ვის და რა პირობებში უნდა მიეცეს მიწა.

უნდა აღვნიშნოთ, გაუგებრობის თავიდან ასაცდენათ, რომ წვრილი მესაკუთრენი იმ ნორმის კვალობაზე, რომელიც 7 მარტის კანონშია აღნიშნული, ხელუხლებელნი დარჩებიან: ეს ნორმა აღნიშნულია 7 მარტის კანონის მეორე მუხლში, რომელიც 3 კატეგორიათ ჰყოფს ჩამოსართმევ მიწებს: იქ, სადაც კულტურულ მევენახეობის მეურნეობას მისდევენ (მებაღეობა, მებოსტნეობა და სხვ.), ნორმა დატოვებისა არ უნდა აღემატებოდეს 7 დესეტინას, სადაც ხორბლეულობის მეურნეობაა—15 დესეტინას და სადაც მეჯოგეობას მისდევენ—40 დეს.. აღნიშნულ ნორმაზე ქვევით მიწას არავის ჩამოართმევენ და ასეთ მესაკუთრეთ მიწა საკუთრებათ შერჩებათ. მართალია, ეს დატოვების ნორმა უმთავრესათ თავად აზნაურობას ეხება და ზოგიერთები უსამართლოთ თვლიან ასეთის დიდი ნორმის დატოვებას, მაგრამ ამ საკითხისათვის კვლავ დაბრუნებას ახლა შეუძლებლათ ვთვლით: სეიმში ჩვენ არ შეგვეძლო სხვა გვარათ მოქცევა, რადგან სომეხი და მუსულმანი ფეოდალები გვედობებოდნენ წინ და ახლა, როცა ჩამორთმევა თითქმის დასრულებულია, ისევ უკან დაბრუნება და ხელ ახალი ჩამორთმევა, გარდა იმისა, რომ უსარგებლოთ გააბოროტებდა მემამულეთ და ბევრ საშუალო შეძლების გლეხს, აუარებელ უნაყოფო ზედმეტ ხარჯებსაც გამოიწვევდა.

ახალი კანონ პროექტი ამ საკითხს ხელუხლებლათ სტოვებს და, მაშასადამე, მიცემის მაქსიმუმიც 7 მარტის მე 2 მუხლის თანახმათ წყდება, ე. ი. მიწა მიეცემა პირველ რიგში იმათ, ვისაც სულ არ აქვს მიწა, შემდეგ დაკმაყოფილდებიან ისინი, ვისაც, თუმცა აქვს თავისი მიწა, მაგრამ ცოტა და, თუ კიდევ დარჩება, მიეცემათ უფრო შეძლებულებსაც. ფაქტიურათ, რასაკვირველია, ბევრ ალაგას ძალიან ცოტა იქნება დასარიგებელი და ასეთ ადგილებიდან მსურველები დასახლებული იქნებიან თავისუფალ ადგილებში, როგორც ამას ახალი კანონ პროექტი აღნიშნავს.

იბადება კითხვა: მიეცემა თუ არა მიწა ყველა უმიწოს, ვინც უნდა იყოს ის?

თუ ჩვენ ქვეყნის მოქმედის თვალით შევხედავთ საკითხს, ეს კითხვა ადვილათ გადაწყდება: მიწა მიეცემა ყველას—პროლეტარს, მედუქნეს, ფეხზე მოვაჭრეს და სხვ., მაგრამ აგრარული რეფორმა მიზნათ ისახავს გლეხის, ე. ი. სოფლის მეურნის ცხოვრების მოწესრიგებას. ამიტომ, კანონ-პროექტით, მიწა მიეცემა მხოლოდ იმათ, ვინც სოფლათ ცხოვრობს და იმავე დროს მისი არსებობის მთავარ წყაროს შეადგენს მიწის მუშაობა. დანარჩენ მსურველთ, თუ ასეთები აღმოჩნდებიან, მიწა მიეცემა ისეთ თავისუფალ ადგილებში, სადაც სახელმწიფოებრივის თვალსაზრისით საჭირო იქნება მშვიდობიან ელემენტის შექმნა, ე. ი. მიწა მიეცემათ გადასასახლებელ ფონდიდან.

რატომ არ უნდა მივსცეთ მიწა ყველა მსურველს და იქ, სადაც ისინი მოინდომებენ: იმიტომ, რომ დასარიგებელ მიწების ფონდი მცირეა და გარდა ამისა ის, ვინც სრულიად არ ეწევა მეურნეობას და არც მიჩვეულია ასეთს საქმეს, სულ ერთია, მიცემულ მიწით ვერ ისარგებლებს და ამის გამო ის ისევ სხვას გადასცემს დასამუშავებლათ და ერთგვარ სპეკულიაციას შეუდგება.

დაგვრჩა კიდევ ერთი მთავარი საკითხი: უნდა მუქთად დავარიგოთ მიწები, თუ რაიმე სასყიდელი დავაწესოთ? კანონ პროექტის მე-17 მუხლი მოითხოვს ფასის დაწესებას, მაგრამ არა ისეთი ფასის, რომელიც დღეს ბაზარზეა, არამედ საშუალო შეღავათიან ფასის, რათა ამ გზით დაფარულ იქნას ის აუცილებელი ხარჯები, რომელსაც მიწის რეფორმის ცხოვრებაში გატარება მოითხოვს.

ეს საკითხი ჩვენ მეტად სერიოზულ საკითხათ მიგვაჩნია: ის დიდს დავას იწვევს; ბევრი პარტია და ჯგუფი ცდილობს სადემაგოგიოთ გამოიყენოს ის, რომ ძირი გამოუთხაროს ჩვენს რესპუბლიკას და დასცეს ჩვენი პარტიის პრესტიჟი. ამიტომ მეტი არ იქნება ცოტა დიდი ხნით შევჩერდეთ ამ საკითხის განხილვაზე.

## პრესა

საქართველოს და სომხეთის წარმომადგენლების კონფერენციის გამო გაზ. „საქართველოში" საგულისხმო სტრიქონებია მოთავსებული.

„ეს უეჭველად ჩვენი დიპლომატიური გამარჯვებაა. მართალია, ლორის სამხრეთი ნაწილი დღესაც არარატის რესპუბლიკის განკარგულებაში რჩება, მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს მის საბოლოოდ დაკარგვას. ჩვენი პრეტენზიები ამ პროვინციის მიმართ შეურყეველნი რჩებიან.

„რით აიხსნება ეს დიპლომატიური გამარჯვება? თითქმის ყველა სადაო საკითხის გადაჭრაში ინგლის საფრანგეთის წარმომადგენლებს მხარი დაუჭერიათ ჩვენი მოთხოვნილებისათვის. მაგრამ, როგორც ცნობილია, მოკავშირეების გულის მოსაგებათ ჩვენ არ გვიხმარია დაშნაკური თვალთმაქცობა. როგორც ბრძოლის ველზე მილიტარული სიძლიერით, ისე კონფერენციის დარბაზში ზნეობრივი სიძლიერით გავიმარჯვებთ. სადი რეალიზმით გამსჭვალულმა ევროპიელებმა სწორეთ აწონეს და დააფასეს თვითეული მხრის ფიზიკური და მორალური ძალა.

„ამ მხრივ დიდათ საგულისხმოა კონფერენციის ერთი მომენტი. ჩვენი წარმომადგენელი შეეკითხებია ინგლისის წარმომადგენელს, იძლევა თუ არა მოკავშირეთა სარდლობა იმის გარანტიას, რომ სომხეთი აღარ გაიმეორებს მუხანათურ თავდასხმას? ამის საპასუხოთ პოლკოვნიკ სტუარტს კატეგორიულად განუცხადებია, რომ მოკავშირე სახელმწიფოები თავიანთ საწინააღმდეგო აქტათ ჩასთვლიან სომხეთის თავდასხმას საქართველოზე.

„ამგვარად ნიადაგი გამოეცალა არარატის რესპუბლიკის აგრესიულ მიზნებს და დაშნაკელების ინტრიგებს. ევროპიულ სახელმწიფოების წარმომადგენლები დარწმუნდნენ, რომ საქართველოს რესპუბლიკა ღირსია არა მარტო ცნობისა ინგლის საფრანგეთის მიერ, არამედ მათი ზნეობრივი კავშირისაც. თავის თავად ცხადია, რომ თვით საქართველოს არავითარი აგრესიული მიზნები არ აქვს არარატის რესპუბლიკის წინააღმდეგ".

მაშასადამე, „საქართველოს" აზრით, საქართველო სომხეთის ომი დამთავრებულა სრული ჩვენი სამხედრო, პოლიტიკური, დიპლომატიური და ზნეობრივი გამარჯვებით. ამ დაფასებას ჩვენ გვინდა პირისპირ წავუყენოთ მეორე დაფასება, რომელიც ერთი კვირის წინ იყო გაკეთებული.

„ეხლა ვიკითხოთ, ვინ მოიგო ამ ომში? ცხადია, სომხობამ".

„რომ ადმინისტრატიულათ და პოლიტიკურათ გავსინჯოთ, წაგებაში სწორეთ ჩვენ ვართ".

„ეხლა ვნახოთ, პოლიტიკურათ ვინ გაიმარჯვა?—სომხებმა გაიმარჯვეს!"

„ჩემთვის აშკარაა, რომ გამარჯვებული ჯარის პატრონი საქართველო, დამარცხებული არის ამ თქვენის ზავით".

„ვასკვნი: მთავრობამ ვერ დაიცვა ჩვენი ერის ღირსება. მოგვცა ზავი არა გამარჯვებულის, არამედ დამარცხებული ჯარის პატრონის".

ვინ ამბობს ყველა ამას, როგორ ჰგონია მკითხველს? ყველა ეს სიტყვები მოთავსებულია იმავ „საქართველოში" და ეკუთვნის ნაც.-დემოკრატების ლიდერს ბ-ნ ს. კედიას. ბ-ნი კედია ცნობილია თავის გულწრფელობით და ჩვენ ნება გვაქვს მოვთხოვოთ მას, რომ უარი სთქვას პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვაში გამოხატულ აზრებზე და აღიაროს, რომ ის დაფასება ომისა და ზავისა, რომელიც მან პარლამენტში გააკეთა, გაუფრთხილებლობის ნაყოფია.

* *
*

გუშინ ჩვენ აღვნიშნეთ „ტიფლისკი ლისტოკის" ყოვლად უმართებულო გამოსვლა ჩვენი მთავრობის და პარტიის წინააღმდეგ. „ლისტოკმა" პრესის განყოფილებაში ბრალი დაგვდო იმაში, ვითომ ჩვენ ვილაშქრებდით ველაქეცვებოდით. „ლისტოკის" ასეთმა საქციელმა ჩვენი მხრით სასტიკი აღშფოთება გამოიწვია.

მაგრამ „ლისტოკის" თავხედობას აუშფოთებია ისეთი ორგანოც კი, რომელიც ჩვენი მიმართულების სასტიკი მოწინააღმდეგეა—„ბორბა", რომლის მეპრესე ასეთ პასუხს აძლევს ბ. დუბროვსკის:

„ჩვენ, რასაკვირველია, პასუხს ვერ ვაგებთ „ერთობის" მაგიერ და ეს ჩვენს ზრახვებს არც შეეფერება, მაგრამ ერთი რამ უნდა აღინიშნოს: ზემოთ ჩამოთვლილი სტრიქონების დაწერა „ერთობაზე", რომლის შეხედულება საერთაშორისო საკით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს

თფილის ქალაქის საბჭოს საარჩევნო სიები ხვალ, 19 იანვარს, გამოქვეყნდება; ამ სიათა შევსება შეიძლება ხუთი დღის განმავლობაში—19, 20, 21, 22 და 23 იანვარს.

—

დონის და ყუბანის ატამანთან შეთანხმებით გენ. დენიკინმა იკისრა სამხრეთ რუსეთში მომქმედ ხმელეთის და საზღვაო ჯარების მთავარსარდლობა.

—

ურალის ფრონტზე, ინგლისური პრესის ცნობით, ბალშევიკები დაამარცხეს. წაიყვანეს 30 ათასი ტყვე, 15 ზარბაზანი, ათასი ტყვიისმფრქვეველი, რამდენიმე ჯავშნიანი მატარებელი და სხვა.

—

ვორონეჟის გუბერნიაში ბალშევიკებმა მემარცხენე ესერების შეთქმულობა აღმოაჩინეს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

—

სილეზიაში დამფუძნებელი კრების არჩევნების დღეს პოლონელები შეეცადნენ აჯანყების მოწყობას. გერმანელთა და პოლონელებს შორის მდგომარეობა დღითიდღე მწვავდება.

—

ტრანსილვანია რუმინიამ შეიერთა საბოლოოთ.

---

ხეზზე ყოველთვის ცხადი და გარკვეული იყო, შეუძლია ისეთს პირს, რომელსაც ან არავითარი წარმოდგენა არ აქვს ქართულ ჟურნალისტიკის და პუბლიცისტიკის მიმდინარეობებზე, ან ფარულ პოლიტიკური მიზნებით განზრახ ავრცელებს აშკარა სიცრუეს იმ იმედით, რომ ყველა ვერ მოიცლის „ლისტოკის“ სისულელეები უარჰყოს“.

## საქალაქო არჩევნებისთვის

### ორი გამოცდა.

ჩვენს დემოკრატიას, საქართველოს რესპუბლიკის მცხოვრებთ თითქმის ერთი თვის განმავლობაში ორი გამოცდის, ორი ეგზამენის ჩაბარება უხდება: ქალაქის არჩევნების და დამფუძნებელ კრებისა. ეს არაჩვეულებრივი გამოცდაა და სწორედ ეს არაჩვეულებრივი მდგომარეობა ჩვენგან განსაკუთრებულ ენერგიას და უნარს მოითხოვს, რომ ეს არჩევნები ჩვენდა სასარგებლოდ, დემოკრატიის გამარჯვებით დათავდეს.

არჩევნების კამპანია უკვე დაწყებულია. პირველი პერიოდი არჩევნების კამპანიისა—ქალაქის მცხოვრებთა აღწერა—ძალიან სუსტად, ზანტად, უსიცოცხლოდ ჩატარდა: აღწერა დასრულდა, ხოლო აუწერელი ბევრი დარჩა. მართალია, ამ გარემოებამ ჩვენი ამხანაგების ყურადღება დროზე მიიპყრო და რამდენიმე გამოტოვებული მოქალაქე სიაში შეიტანეს, მაგრამ ამ მხრივ მუშაობა ჯერ კიდევ აუცილებელია: გამოტოვებული ჯერ კიდევ ბევრია.

ამ ახლო ხანში მოქალაქეთა სია გამოქვეყნდება. ამიტომ მთელი ჩვენი ყურადღება ეხლა იქით უნდა იყოს მიქცეული, რომ სიები დროზე გადისინჯოს და გამოტოვებული მოქალაქენი შეტანილ იქმნან სიაში.

აღწერის პერიოდი ამით დათავდება.

მაგრამ მარტო ეს არ კმარა. არ კმარა მარტო მოქალაქეების აღწერა. ეს ნედლი მასალის შეგროვებას უდრის და, რომ შესაფერისად იყოს გამოყენებული ეს მასალა, საჭიროა მათი გაწრთვნა და მათი აქტიურად ჩარევა არჩევნებში. ამიტომ ჩვენის აზრით, ამიერიდან მთელი ჩვენი ყურადღება იქით უნდა იქმნას მიქცეული, რომ ყველამ მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. ამისთვის, ჩვენ ვფიქრობთ, საჭიროა, იდეური ხელმძღვანელობა, აგიტაცია, კრებების მართვა და ჩვენი სოციალ დემოკრატიული მუნიციპალური პლატფორმის გაშუქება განმარტება. ეს იქნება არჩევნების მეორე პერიოდი—იდეური მხარის, ჩვენი მოთხოვნილებების ახსნა განმარტება.

მოქალაქენო! ვისაც თქვენი თავი საქართველოს რესპუბლიკის ერთგულ მოქალაქეებად მიგაჩნიათ; მოქალაქენო, ვისაც გსურთ და გაინტერესებთ ქალაქის სისუფთავე და მოვლა პატრონობა; მოქალაქენო—განურჩევლად ეროვნებისა,—ვისაც გული გერჩით საქართველოს რესპუბლიკის განმტკიცება-გამაგრებისთვის და მისი დედა ქალაქის—თფილისის აყვავება-გაფურჩქვნისთვის—არ დაჰკარგოთ თქვენი ხმა. და, ვისაც ჰსურს საქართველოს აყვავება, სადაც ყველა ეროვნების წევრი სრულ უფლებიან მოქალაქედ ითვლება,—მან თავისი ხმა მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას უნდა მისცეს!

**მიხ. თამაზაშვილი.**

—

### საარჩევნო კომისიაში.

17 იანვარს მოხდა საქ. ს.-დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის საუბნო და საარჩევნო კომისიების შეერთებული სხდომა. დაესწრო 21 წევრი. დღის წესრიგში იყო კითხვები: 1) მოხსენება ცენტრალური და საუბნო კომისიებისა მათი საქმიანობის შესახებ. 2) გეგმა მუშაობისა: იდეიური, ორგანიზაციული და ტეხნიკური მხარეები. 3) საარჩევნო ხელმძღვანელ ბიუროს არჩევა.

მოხსენებას საარჩევნო ცენტრალური კომისიის სახელით აკეთებს ამხ. გ. ბახტაძე. მოხსენებიდან სჩანს, რომ სიები უკვე შედგენილია და ამ დღეებში გამოქვეყნდება. ბიულეტენები მიცემულია დასაბეჭდათ და ისიც ახლო მომავალში დამზადდება. რაც შეეხება მუშაობას რაიონებში ჯერ მოუწყობლობის გამო ყველგან წესიერად ვერ სწარმოებს. პლატფორმის შემუშავება გადაეცა ამხანაგებს და ორ დღეში დასრულდება, რაც ჩვენს გაზეთებშიაც გამოქვეყნდება. პლაკატებზე და სხვა ტეხნიკურ მხარეებზე ჯეროვანი მოლაპარაკება ჯერ არ მომხდარა. ფონდის ფულიც, თუმცა ნელა, მაგრამ მაინც შემოდის. პირველ საუბნო კომისიიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. მესხი: ჩვენს უბანში ყველა ქუჩები ჩამოვიარეთ და სამი დღის განმავლობაში 700 გამორჩენილი ხმის მიმცემი შევიტანეთ სიაში. ეხლა ვიწვევთ მოწინავე მოქალაქეთა კრებას, სადაც გავწევთ ჩვენს სასარგებლოდ ფართე აგიტაციას. სულ ჩვენს უბანში 6 საარჩევნო ყუთი დაიდგმება, კომისიებიც ამისდა მიხედვით არიან ამორჩეულნი. მეორე საუბნო კომისიის წარმომადგენელი ვადაჭკორია: ჩვენს უბანში ადრე შევუდექით მუშაობას. გამოვყავით კომისიები, რომლებიც სასურველათ მუშაობენ. ჯერ ჯერობით რამოდენიმე ასი გამორჩენილი პირი შევიტანეთ სიებში. შარშან ჩვენს უბანში იდგა 6 ყუთი, წელს 4 რჩება. განსაზღვრული ბინა ჯერ კიდევ არ გვაქვს, ისე კი მუშაობა ბეჯითად მიდის. მესამე უბანი—ელ. მახვილაძე: კომისიას რამოდენიმე სხდომა ჰქონდა. უბანი დაიყო რამდენიმე ნაწილად. სიებს ვავსებთ. ცნობების მისაღებად დავაწესეთ მორიგეობა. ბიურო მოთავსებულია ჟუკოვსკის ქუჩაზე. მეოთხე უბანი—მელ. თერელაძე: საერთოდ ორგანიზაციული მუშაობა არ ყოფილა, თუმცა ყველა გადამწერლებს ჩვენი ამხანაგები სდევდნენ და ცდილობდნენ არავინ არ გამორჩენოდათ სიიდან. კოლექტივმა აირჩია კომისია. ახლა ჩვენ ვუცდით ცენტრალურ კომისიის დირექტივებს. პლანშეტები გავაკეთებინეთ. ამ საქმისათვის ამორჩეულია 24 კაცი. მეხუთე უბანი—შ ნიძე. ადელხანოვის ქარხანაში შემოდიან მუშები სხვადასხვა სამილიცო ნაწილებიდან. მუშაობა სწარმოებს. ქვე-კომისიები შევადგინეთ. ამხ. გავგზავნეთ აგრეთვე კრწანისისაკენ მებაღეთა შორის სამუშაოთ. მეექვსე უბანი: კომისია შესდგება ექვსი კაცისაგან, მხოლოდ დღეს შევიკრიბენით, ვიწყებთ მუშაობას. მეშვიდე უბანი მესხიშვილი: დღეს გვყავდა არჩეული კომისია, ხვალიდან ვიწყებთ მუშაობას, კომისიაში შედის 11 კაცი. მერვე უბნიდან წარმომადგენელი არ გამოცხადდა. მეცხრე უბანი—გონენაშვილი: არჩევნების დაგვიანების გამო პირველ სხდომას დღეს ვახდენთ, სადაც ავირჩევთ კომისიას. მეათე უბანი—ვ. კანტიძე: მიუხედავათ იმისა, რომ მუშაობას დაგვიანებით შევუდექით, საქმე კარგათ მიდის. საქმეს ხელმძღვანელობენ ძველი გამოცდილი ამხანაგები. ჩვენ უბანში ოთხი ყუთია. კომისიაში ავირჩიეთ 24 კაცი. მეთერთმეტე უბანი—ქუთათელაძე: ჩვენ თავიდანვე ვადევნებდით თვალყურს არჩევნების მიმდინარეობას. თუ სადმე გამოგვრჩა აუწერელი პირები, ამის მიზეზი იყო მხოლოდ გაფანტული ქოხები, რომლებიც ბლომად მოიპოვება ნაძალადევში და რომლებშიაც ხშირად დღე ვერავის ნახავთ. დღეს ნაძალადევში მუშაობს 27 კომისია ორ-ორი კაცისაგან შემდგარი. საქმე ძალიან საიმედოთ მიდის. სულ 4 ყუთი იდგმება. ჯერჯერობით შეტანილია სიაში სულ 8,000 კაცამდე. მეთორმეტე უბანი—მათიკაშვილი: შევადგინეთ კომისია, რომელიც დაიყო სექციებათ, სამ საარჩევნო უბნების მიხედვით. ჯერ ჯერობით ასიოდე გამორჩენილი პირი შევიტანეთ სიაში, მუშაობა გრძელდება. მეცამეტე უბანი—საბურთალო ახალშენის წარმომადგენელი: 6 იანვარს მოვახდინეთ კრება, შევადგინეთ კომისიები და ყველა შევიტანეთ სიაში. იქ სცხოვრობს უმთავრესათ სამი ეროვნება. მათში ყველაზე მეტი მალაკნებია. მათი ახალგაზდობა კარგათ გვხვდება. მუსულმანების პროპაგანდისტი გვჭირია.

მუშაობის გეგმაზე სიტყვას იღებს ამხ. რ. ჩიხლაძე: რომ შევქმნათ ერთი ხაზი, ამისათვის საჭიროა მივაქციოთ ყურადღება ორგანიზაციულ მხარეს. ის მოხსენებები, რომლებიც აქ ჩვენ მოვისმინეთ ამტკიცებს იმას, რომ ჩვენ ძლიერ ცოტა საქმე გვიკეთებია. არჩევნები ორ თებერვალს არის დანიშნული და მთელი ჩვენი ძალღონე დღეიდან რომ მოვახმაროთ ამ საქმეს, მაინც გაგვიჭირდება შესრულება ყველა იმისა, რაც ჩვენ დღეს გვაწევს თავზე. საჭიროა, პირველ ყოვლისა ჯეროვანათ მოეწყოს ჩვენი საქმეების ორგანიზაციული მხარე. ყოველ უბანს უნდა ჰყავდეს თავისი ხელმძღვანელი. ეს იქნება მისი „თავი“, ბევრი ხალხი საჭირო არ არის. კომისიებს უნდა ჰყავდეს თავისი პრეზიდიუმები, რომლებიც სამ კაცისაგან უნდა შესდგებოდეს. ბინები უეჭველათ განსაზღვრული უნდა იყვეს და გამოცხადებული, რომელი უბნის ხელმძღვანელი ბიურო სად არის მოთავსებული. ცენტ. კომის. ეყოლება თავისი ხელმძღვანელი პრეზიდიუმი. ჯერ სიები არ გამოქვეყნებულა და გამოქვეყნების დღიდან გვეძლევა ვადა 5 დღე. მაგრამ მას ჩვენ არ უნდა ვუყუროთ—მუშაობას ახლავე უნდა შევუდგეთ. გარდა ამისა, ჩვენ ორგანიზაციულ მხარეს უნდა სდევდეს—იდეიურიც. სულ მოკლე დრო დაგვრჩა და ჩვენ ძალიან ცოტა მოვახდინეთ მოქალაქეთა სხდომები. ჩვენ გვყავს 5 პროპაგანდისტი. მე ვფიქრობ, რომ მათ უნდა დაევალოს აგრეთვე ორგანიზაციული და ტეხნიკური მხარეებიც. ჩვენ სხდომას უნდა ესწრობოდეს ჩვენი მოწინავე ამხანაგებიც და შეძლების დაგვარათ მონაწილეობას იღებდნენ ჩვენ მუშაობაშიც. უნდა მივმართოთ ქალაქის საბჭოს და პარლამენტში მყოფ ამხანაგებს, საჭიროა მათი მუშაობაში ჩაბმა, მათ ძალებს გაანაწილებს ცენტრალური კომისია. ამავე კითხვებზე ილაპარაკეს გ. ბახტაძემ, ი. ირემაშვილმა, ბადრიძემ და სხვ. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: 1) ქ. თფილისი იყოფა ცამეტ სამილიციო არსებულ ნაწილად, თვითეულ სამილიციო ნაწილში სდგება თითო საარჩევნო კომისია. სამილიციო უბნის კომისიაში შედიან საარჩევნო უბნების ქვე-კომისიების წარმომადგენლნი. 2) სამილიციო ნაწილი იყოფა საარჩევნო უბნებათ, თვითეულ საარჩევნო უბანში დგება თითო ქვე-კომისია. 3) თვითეული საარჩევნო ქვე-კომისია საარჩევნო უბანს ჰყოფს ნაწილებათ, ადგილობრივი პირობების მიხედვით. 4) რიცხვი კომისიებისა და ქვე-კომისიებისა განსაზღვრული არ არის და დგება ადგილობრივი პირობების მიხედვით. 5) ყოველი სამილიციო უბნის წარმომადგენელი არის წევრი ცენტრალური კომისიისა და არჩევნების ხელმძღვანელი თავის უბანში.

იდეიურ მხარის შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: 1) პროპაგანდისტთა რიცხვი განაწილებულ იქნას იმ ადგილებში, სადაც ისინი მეტად საჭირონი არიან. საქმის პასუხისმგებელი თვით პროპაგანდისტია. 2) პროპაგანდისტების განაწილება გადაეცა ბიუროს. 3) რადგანაც საკმაო პროპაგანდისტები არა გვყავს—მოწვეულ იქნან ჩვენი ამხ. ქალაქის საბჭოს და პარლამენტის ფრაქციებიდან. 4) მიეცეს წინადადება ჩვენს გაზეთებს, რომ აწარმოვონ ფართო საარჩევნო პროპაგანდა და აგიტაცია. 5) ბიუროს ევალება მოიწვიოს პირველი კრება პროპაგანდისტ აგიტატორებისა. 6) ეთხოვოს სახალხო გვარდიის შტაბს—მოხსნან ძველი, გამოცდილი ამხ. თავიანთი თანამდებობიდან და დაგვეხმარონ საარჩევნო კამპანიის საწარმოებლათ. 7) ტეხნიკური მხარის შემუშავება გადაეცა ბიუროს. თბილისის ცენტრალურ საარჩევნო ბიუროში არჩეულ იქნა 5 კაცი: რ. ჩიხლაძე, გ. ბახტაძე, შ. აბდუშელიშვილი, ნინა რუსია და ილიკო ბადრიძე. მდივნათ, როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიისა, ისე მის ბიუროსი არჩეულ იქნა ვ. სინაურიძე.

**მდივანი.**

—

### საარჩევნო სამზადისი

16 იანვარს, საღამოს 6 საათზე ამხ. რ. ჩიხლაძის თავმჯდომარეობით შესდგა მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრება. კრების გახსნისას თავმჯდომარემ განუმარტა დამსწრეთ დღის წესრიგი, ამის შემდეგ კრება ისმენს უბნების საარჩევნო კომისიების წარმომადგენელთა მოხსენებებს.

მეცამეტე უბნის, ანუ საბურთალო-ახალშენის საარჩევნო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. მ. გოგლიძე. ის მოკლეთ ახასიათებს აღწერის მიმდინარეობას და ამბობს, რომ თითქმის მცხოვრებთა უმრავლესობა არ არის აღწერილი, ამისათვის საბურთალო-ახალშენის საარჩევნო კომისიამ, ყველანი ხელ-ახლათ აღწერა. დამატებითი სიის ერთი ნაწილი უკვე გადაეცა, სადაც ჯერ-იყო, ნაწილს-კი ხვალვე გადავცემთო. შემდეგ აკეთებენ მოხსენებას შემდეგი უბნები ან: მეორედან ამხ. ი. ომანიძე, მესამედან ამხ. ნიკოლოზოვისა და პირველიდან ამხ. ი. მესხი. ყველა მომხსენებლები აღნიშნავენ, რომ გამორჩენილთა რიცხვი ურიცხვია, მაგრამ კომისიების ენერგიული შრომით ეხლა თითქმის ყველა აღწერილია და სრულ იმედს გამოსთქვამენ, რომ არც ერთი ჩვენი ამხანაგი თუ თანამგრძნობი არ დარჩება სიის გარეშე. შემდეგ თავმჯდომარე სთხოვს საარჩევნო კომისიებს განაცხადონ, თუ რა არის მათთვის საჭირო, რომ არჩევნები ჩვენი გამარჯვებით დამთავრდესო. შემოდის წინადადება, რომ ყველა საარჩევნო კომისიების მისამართი, გამოცხადებული იქნას პარტიულ ორგანოებში. კრება იღებს წინადადებას და სთხოვს საარჩევნო კომისიებს, დაუყონებლივ გამოაცხადონ თავიანთი მისამართი პარტიულ ორგანოებში და მით საშუალება მისცენ მოქალაქეთ საჭიროებისამებრ მიმართონ. ამხ. რ. ჩიხლაძე საჭიროთ სცნობს, რომ ყველა საარჩევნო კომისიებმა აირჩიონ თავიანთი პრეზიდიუმი. ირკვევა, რომ ზოგს მათგანს უკვე ჰყავს, ზოგი კი ეხლა ამოირჩევს.

დასასრულ ამხ. რ. ჩიხლაძე ახასიათებს საერთოდ არჩევნების მიმდინარეობას და მწუხარებით აღნიშნავს, რომ დღეს არა სჩანს ის გატაცება, ის აღტაცება, ის მზადება, შეგნება მოქალაქისა თავის მოვალეობის აღსრულებისადმი, როგორც ეს პირველ არჩევნებში იყო და ამისათვის საჭიროა საარჩევნო კომისიებმა ეხლავე მოჰკიდონ ხელი აგიტაცია-პროპაგანდას და მით თვითეულ მოქალაქეს შეაგნებინონ, რომ დღევანდელი არჩევნები, როგორც მუნციპალურ ისე დამფუძნებელი კრების, უკავშირდება ჩვენი ხალხის ყოფნა არყოფნის საკითხს და, თუ ამ აზრით გაიმსჭვალება თვითეული ჩვენგანი, თუ ამას შეიგნებს ჩვენი ხალხი და თავის მოვალეობას ღირსეულათ შეასრულებს, ჩვენი არსებობაც უზრუნველყოფილი იქნებაო. შემდეგ ის აცნობს კრებას, რომ არჩევნებში ენერგიულ მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდა მარქსისტები, რომელთაც უკვე ჰქონდათ საზოგადო კრება და გადასწყვიტეს—მთელი მათი ძალები აამოძრაონ ჩვენი პარტიის გასამარჯვებლად.

**სპარტაკი.**

## თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

### საბჭოს არჩევნებისათვის.

თფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომელნიც სცხოვრობენ თფილისში, ან აქვთ აქ შინაური მოწყობილება, ან დაკავშირებულნი არიან ქალაქთან რაიმე განსაზღვრული საქმით, რომ თფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ამომრჩეველთა სიები უკვე შედგენილია და საყოველთაოდ განსახილველად წარდგენილი იქნებიან მიმდინარე იანვრის 19, 20, 21, 22 და 23-ს დილის 9 საათიდან—საღამოს 9 საათამდე შემდეგ ადგილებში:

| | | |
|---|---|---|
| 1 | საარჩევნო უბ. | ქალაქის პირველ დაწყებითი სასწავლებელი, ოლღას ქუჩა, 52, სახლი მაჩაბლისა. |
| 2 | „ „ | პირველი ვაჟთა გიმნაზია, გოლოვინის პრ. |
| 3 | „ „ | მესამე ვაჟთა გიმნაზია, ლერმონტოვის ქუჩა; |
| 4 | „ „ | მანტაშევის ქარვასლა, სომხის ბაზარი № 62; |
| 5 | „ „ | პუშკინის ქალაქის სასწავლებელი, ვარანცოვის ქუჩა; |
| 6 | „ „ | ნადეჟდის თავშესაფარი; |
| 7 | „ „ | ავლაბრის კლუბი, ზამთრის ბუნობა ავლაბრის კლუბ. |
| 8 | „ „ | პირველი საკომერციო სასწავლებელი; |
| 9 | „ „ | ქალაქის სასწავლებელი პეტრე დიდის სახელითა, ჩერქეზიშვილის ქუჩა 29. |
| 10 | „ „ | სახალხო სახლი ზუბალაშვილებისა; |
| 11 | „ „ | ნაძალადევის თეატრი, ჩერქეზიშვილის ქუჩა, |
| 12 | „ „ | რკინის გზის სასწავლებელი, |
| 13 | „ „ | საბურთალოს კომისარიატი, |

მოქალაქეთ, რომელნიც მოისურვებენ გაიგონ არიან თუ არა შეტანილნი საარჩევნო სიაში, უნდა მიმართონ ზემოთ ნაჩვენებ ადგილებში, სადაც იქნებიან განსაკუთრებულნი პირნი სიების ნაკლულობის და უსრულობის შესახებ განცხადებებით და საჩივრებით. განცხადებები და საჩივრები შეიძლება, როგორც წერილობით, ისე სიტყვიერად; განცხადებებს და საჩივრებს უნდა ახლდეთ საბუთის ქაღალდები საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის დამამტკიცებელი (პასპორტი, მეტრიკა, ნამსახურობის სია თავისი ან მამისა) ქართველები არ არიან ვალდებულნი წარმოადგინონ ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები, გარდა მეტრიკისა იმ შემთხვევაში, როცა მომჩივარნი გარეგანის შეხედულობით 20 წლისაზე ნაკლებნი არიან.

ყველა განცხადებებს და საჩივრებს ქალაქის გამგეობა განიხილავს 24 და 25 იანვარს. თუ ამ ორი დღის განმავლობაში მომჩივანთ არ მიუღიათ ქალაქის გამგეობისაგან პასუხი საჩივრისა, ან მიუღიათ უარი, მათ აქვთ უფლება ორი დღის განმავლობაში, ე. ი. 26 და 27 ამა იანივარს შეიტანონ საჩივარი საოლქო სასამართლოს ადმინისტრატიულ განყოფილებაში, რომელიც ვალდებულია ორი დღის განმავლობაშივე, ე. ი. 28 და 29 იანვარს განიხილოს ყველა სასამართლოში შესული საჩივრები.

რესპუბლიკის მოქალაქენო, იცოდეთ, რომ, ვინც სიაში არ იქნება შეტანილი, მას ხმის უფლება არა აქვს არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. ეშურეთ ისარგებლოთ კანონიერი ვადით და განაცხადეთ სარაიონო ბიუროებში გამოტოვების და სიების ნაკლულევანების შესახებ, რომ შეტანილი იქნეთ სიებში და არ დაკარგოთ ხმა.

**მოქალაქენო!** საქართველოს პარლამენტის დადგენილებით საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები უნდა მოხდეს 14—16 თებერვალს. დამფუძნებელ კრების არჩევნები თფილისში მოხდება ამომრჩეველთა იმავე სიებით, რომლებითაც უნდა მოხდეს ქალაქის ხმოსნების არჩევნები. ახალი საარჩევნო სიები დამფუძნებელ კრებისათვის არ შესდგება. საქალაქო არჩევნებისათვის ამომრჩეველთა სიები სდგება და ამ სიებით უნდა მოხდეს ორი ფრიად მნიშვნელოვანი არჩევნები: ქალაქის საბჭოსი და დამფუძნებელის კრებისა. ვინც სიებში არ იქნება შეტანილი, მას არა აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა არცერთს ამ არჩევნებში.

**მოქალაქენო!** შეასრულეთ თქვენი მოვალეობა და ვინც გამოტოვებულია სიებში, ეშურეთ შეიტანოთ განცხადება სარაიონო ბიუროში, რომ დამატებით ჩაგწერონ და ხმა არ დაკარგოთ.

## უკანასკნელი ცნობები

**ხოჩა.** 16 იანვარი. (საქ. კორ.) გენერალ დენიკინმა გამოსცა ბრძანება: დონის და ყუბანის ატამანთან შეთანხმებით დღეიდან ვკისრულობ სამხრეთ რუსეთში მომქმედ ხმელეთის და საზღვაო ჯარის მთავარსარდლობას.

ატამან კრასნოვის ბრძანება: ვაქვეყნებ რა გენ. დენიკინის ბრძანებას, ვამოწმებ, რომ დონის ჯარის მთავარსარდალთან შეთანხმებით ყაზახთა ქონება, მიწა, ყოფა-ცხოვრება და დონის არმიის სამსახური ხელუხლებელი იქნება. ჯარის ხელმძღვანელობის ერთ ხელში გადასვლა აუცილებელი ზომაა ბალშევიკებზე გამარჯვების მისაღწევათ (ს. დ. ს.).

**ბათუმი.** 11 იანვარს ადგილობრივ კლუბში ქართულ ნაციონალური საბჭოს და ქართველ მუსულმანთა განმათავისუფლებელ კომიტეტის მიერ გამართულ იქნა ბანკეტი ინგლისის მისიისა და პარიზში მიმავალ საქართველოს დელეგაციის პატივსაცემლად; სიტყვები წარმოსთქვეს კ. ჩხეიძემ, ნ. ნიკოლაძემ, თასიმ ბეგ ხიმშიაშვილმა, მემედ-ბეგ ხიმშიაშვილმა და სხვ. ინგლისის მისიის მხრივ სიტყვები წარმოსთქვეს პოლკოვნიკებმა ლევი-სიმმა და გერეტ-ზელევმა. მათ ის აზრი გამოსთქვეს, რომ ინგლისი მხარს დაუჭერს საქართველოს დამოუკიდებლობასო.

## დამფუძ. კრების არჩევნები

### ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

16 იანვრის სხდომაზე დადგენილ იქნა:

ბიულეტენის რაოდენობა გადაწყვეტილ იქნეს მაშინ, როცა პარტიები აცნობებენ საარჩევნო კომისიას, რამდენი ბიულეტენი არის მათთვის საჭირო. პარტიებს ევალებათ აგრეთვე თითონვე გაინაწილონ, რამდენი ბიულეტენი დასჭირდებათ ამა თუ იმ მაზრისათვის.

დაბეჭდილი ბიულეტენები ყველა პარტიებისა აუცილებლივ ერთ დროს უნდა გამოვიდეს გასავრცელებლად. პასუხისმგებლობას კისრულობს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

ბიულეტენებს ბეჭდავს ცენტრალური საარჩევნო კომისია, მაგრამ, თუ რომელიმე პარტია მოისურვებს თვითონ დაბეჭდვას, მას ამისი უფლება ეძლევა.

ცენტრალური საარჩევნო კომისია უგზავნის ბიულეტენებს სამაზრო და საქალაქო კომისიებს, ეს უკანასკნელი ვალდებულნი არიან დაგზავნონ იქ, სადაც ყუთები იდგმება.

ორშაბათისთვის, 20 იანვარს, პარტიების წარმომადგენლებს ევალებათ აცნობონ საარჩევნო კომისიას, სულ რამდენი ბიულეტენი სჭირდებათ და როგორ სურთ მათი დანაწილება მაზრებში.

დაიბეჭდოს ცალკე ფურცლებზე არჩევნების ის მუხლები, რომელნიც ეხებიან არჩევნების დროს წესიერების დაცვას და ხმის მიცემის წესებს და დაიგზავნოს მაზრებში საჯაროდ გამოსაკრავად იმ ადგილებში, სადაც ყუთები იდგმება.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

17 იანვარი.

### გერმანული პრესის ცნობები.

დროებითი ზავის გერმანული კომისიის თავმჯდომარე სტატს-სეკრეტარი ერცბერგი იანვრის 14 ჩავიდა კასელში. იქვე ჩავიდნენ გრაფი ობერნდორფი, საზღვაო სამსახურის კაპიტანი ვანზელოვი და მთავრობის კომისრები. ტრიერში წასვლამდე მათ ხანგრძლივი თათბირი ჰქონდათ. ტრიერში შეხვდნენ გენერალ ფონ ვინტერფელდს, რომელიც სამ დელეგატთან ერთათ ჩამოვიდა სპადან. მოლაპარაკება იანვრის 15 დაიწყება. მოელიან მარშალ ფოშს.

„ფოსიშე ცეიტუნგი“ იუწყება, რომ ბრომბერგს ალყა შემოარტყეს პოლონელებმა, რის შემდეგ მათ დაიჭირეს რორბრუკი, პირველი სადგური ბრომბერგ გოგზალიცის რკინის გზის ხაზზე. პოლონელები მხოლოდ 4 კილომეტ-

რით არიან დაშორებული ბრომბერგს. როობრუკის სამხრეთით მდგარი გერმანიის არტილერია და ქვეითი ჯარი საფრთხეშია. შესაძლებელია მათ გზა გადაუჭრან. დროებით ზავს ყურადღებას არ აქცევენ. 80 ახალგაზდა პოლონელმა დასდგა ტყვიისმფრქვეველები ნაკელ, აუფინტრენტ, შნეიკლემონ, ბრომბერგის რკინის გზის ხაზზე. ამის გამო ბრომბერგიდან მხოლოდ დანცინგზე და ტორნზეა გზა.

13 იანვარს გერმანიის ჯარმა დასტოვა მიტავა.

ზემო სილეზიიდან იუწყებიან: 19 იანვარს, არჩევნების დღეს, პოლონელები ფიქრობენ, მოახდინონ აჯანყება და ამით ეროვნულ ყრილობის არჩევნებს ხელი შეუშალონ. პოლონეთში რჩება ჯარი, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს შესაფერისი პასუხი გასცეს აჯანყებულთ.

### ბალშევიკების ცნობები.

**მოსკოვი**. 15 იანვარი. დეკემბერის უკანასკნელ რიცხვებში ურაზოვო-კუპიანსკ ვალუისკის რაიონში მემარცხენე ესერებმა და ინტელიგენტებმა მუშათა და გლეხთა მთავრობის წინააღმდეგ ახალი შეთქმულება მოაწყვეს. მემარცხენე ესერების ავანტიურისტთა ჯგუფმა საზლინის, ევდოკიმოვის და მურავიოვის თაოსნობით შეადგინეს შტაბი და ჩაითრიეს ზოგიერთი სარდლები, დასახელებული იყო მემარცხენე ესერების მთავრობა. მათ წინააღმდეგ გაიგზავნა ერთი ბატალიონი და მთელი მთავრობა და აჯანყებულთა არმია დამარცხდა. ყველა მოთავე დაიჭირეს და გადასცეს რევოლიუციონურ ტრიბუნალს.

### ინგლისის პრესის ცნობები.

გერმანიის ჯარის მდგომარეობა გამოურკვეველია. ავტორიტეტულ წრეებში ფიქრობენ, რომ 18 და 19 წლიანები ისევ ჯარში დარჩებიან. ამგვარათ იქნება ნახევარ მილიონისაგან შემდგარი ჯარი. ის დივიზიები, რომელნიც არსებობენ ამ ჟამათ, ისევ იარაღქვეშ დარჩებიან. ამ ჟამათ ჯარის მთავარი ყურადღება მიქცეულია შინაურ მდგომარეობას. თუ გაიმარჯვა ებერტმა, იმ შემთხვევაში ჯარი შემდეგშიც დარჩება, ხოლო, თუ სპარტაკელებმა გაიმარჯვეს და შეუერთდნენ რუსეთის ბალშევიკურ ჯარს, მაშინ სერიოზული მდგომარეობა შეიქნება.

8 იანვრამდე გერმანელებმა ჩაგვაბარეს 2713 ჰაეროპლანი. ამ რიცხვში 966 დაზიანებულია.

დროებითი ზავის კომისიამ გაგზავნა რატილონში წარმომადგენელი, რომელსაც დაევალა თვალ-ყური ადევნოს სერბიის და რუმანიის ჯარის ევაკუაციას დუნაით.

ბათუმსა და ბაქოს შუა რკინის გზებზე მიმოსვლა აღდგენილია. საჭირო სურსათის გაგზავნა გენერალ ველენსონისთვის გაადვილებულია კასპის ზღვით.

ციმბირში, ურალის ფრონტზე, პერმთან აღსანიშნავი გამარჯვება მოხდა. კუმანის სამხრეთით ხელთ ვიგდეთ მოწინააღმდეგის მთელი პოლკი და ბრიგადა შტაბით. საერთო რიცხვი ტყვეებისა აღწევს 30,000 კაცს. ხელთ ვიგდეთ 51 ზარბაზანი, 1000 ტყვიისმფრქვეველი, რამოდენიმე ჯავშნიანი მატარებელი, მრავალი ვაგონი და რკინის გზის მასალა.

სამხრეთ რუსეთში, დონიდან კავკასიამდე რუსეთის არმიის მთავარ-სარდლობა მიიღო გენერალ დენიკინმა.

სევასტოპოლის აღმოსავლეთით დიდი ბრძოლის შემდეგ ბალშევიკები დამარცხდნენ. მოკავშირენი დენიკინს ხელს უწყობენ ამუნიციით და იარაღით.

ერთათ ერთი ჯარი, რომელიც გადმოისხა შავ ზღვაზე, ფრანგების რაზმებია, რომელიც ამ ჟამათ სევასტოპოლში და ადესაშია დაბანაკებული. აქ ისინი მოვიდენ მცხოვრებთა თხოვნით და შესწყვიტეს საერთო ხოცვა-ჟლეტა.

ბალტიის მხარეში ესტონელებმა ფინელთა დახმარებით ბალშევიკებს რეველიდან 30 ვერსით უკან დაახევინეს და ვეზენბერგს დაუახლოვდნენ.

პეტროგრადიდან ჰელსინგფორსში ჩამოსულ მოქალაქეთა სიტყვით პეტროგრადში საშინელი მდგომარეობაა.

რუმინიის ოფიციალური გაზეთი აქვეყნებს დეკრეტს, რომლითაც ტრანსილვანია საბოლოოთ უერთდება რუმინიას.

# ახალი ამბები

**საქ. სოც. დემ. მ. პ. თფ. კომიტეტის ქ. თფილისის საარჩევნო ცენტრალური ბიურო** მოთავსებულია თფ. კომიტეტის ბინაზე, გოლოვინის პროსპექტი № 24. სახლი არაფელოვისა. ღიაა ყოველ დღე განუწყვეტლივ დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე. ბიურო იძლევა ყოველგვარ საჭირო ცნობებს.

◆ **საქალაქო არჩევნებისთვის.** თფილისის საბჭოს ხმოსანთა ამომრჩევლების სიები განსახილველად იქნება წარდგენილი 19, 20, 21, 22 და 23 იანვარს, დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე. ვინც გამოტოვებულია, მან უნდა მიაკითხოს და შეიტანოს თავი სიაში. სიების განხილვა შესაძლებელი იქნება ქალაქის 13 ადგილას. ეს ადგილები ქალაქის გამგეობამ უკვე გამოაქვეყნა. გამგეობის უწყებაში აღნიშნულია აგრეთვე ის, თუ რა დოკუმენტებია საჭირო სიაში შესატანად. გამგეობის განცხადება დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება. მოქალაქენო! წაიკითხეთ და მოიქეცით ისე, როგორც იქ სწერია. აუხსენით იმათაც, ვისაც წაკითხვა არ შეუძლია, ან არ იცის, როგორ მოიქცეს. ეცადეთ არ დაკარგოთ საარჩევნო ხმა!

◆ მეორე უბნის საქალაქო არჩევნების კომისია აცხადებს ამხანაგების საყურადღებოთ, რომ არჩევნების შესახებ ყოველგვარი ცნობებისათვის მიმართონ კანტორა „განათლებაში“, ოლღას ქ., № 6 სილ. თავართქილაძეს.

◆ **რკინის გზის დათვალიერება.** გუშინ ინგლისელი ინჟინერები გაემგზავრენ რკინის გზის დასათვალიერებლათ ნატანებ-ბათუმის რაიონში.

◆ **ომის საჭიროებისათვის** თფილისის სამეურნეო ბანკში შეიტანა ველისციხეში მოვაჭრეებმა—ძმებმა სპ. და ზაქ. მამისაშვილებმა ათი ათასი მანეთი.

◆ **ღვინის გაყიდვა.** თფილისის გენერალგუბერნატორი აცხადებს, რომ გაზეთებში მოთავსებული ცნობა, თითქოს მას ნება დაერთოს მაგარი სასმელებით ვაჭრობისა, სიმართლე არ არის.

◆ **დიდი საღამო.** დღეს, მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში, ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის სახსრის გასაძლიერებლათ გაიმართება დიდი საღამო 4 განყოფილებით. დასაწყისი 6 საათზე.

◆ **ლექცია.** დღეს, 18 იანვარს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში, დანიშნულია ლექცია ექ. ტურიაშვილისა: „ქალთა ჰიგიენა“.

◆ **დაჭრა.** მეცხრე სამილიციო უბნის მილიციონერი სამსონ მაღალოვი მილიციონერმა ს. ამილახვარმა სასიკვდილოთ დაჭრა.

◆ **ფარმაცევტთა პროფესიონალური** კავშირი ამით აცხადებს პრაქტიკა დათავებულ აფთიაქის შეგირდების საყურადღებოთ, რომ ვისაც სურთ თანაშემწეთა ხარისხის წოდება მიიღონ, იმათთვის მეცადინეობა პროვიზორების იაკუბოვიჩ-ერგარდტისა, ზეელნოვის და ხაბურზანიას ხელმძღვანელობით დაიწყება 1 თებერვალს. ჩაწერა შეიძლება: საღამოთი 5—9 საათამდე პროფ. კავშირში, აგრეთვე იაკუბოვიჩის აფთიაქში და პროვიზორ ხაბურზანიასთან (ვილბრეტის აფთიაქი).

◆ **აკეთის (გურია) საზოგადოების** მრავალ რიცხოვანი სახალხო მიტინგი სალამს უძღვნის საქართველოს რესპუბლიკის სიამაყეს ნოე ჟორდანიას და მის მთავრობას, და აღფრთოვანებული მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებით, როგორც რესპუბლიკის საარსებო საქმეში, ისე თავდაცვას საქმეში, მუხანათ მტრის შემოსევის დროს, აღუთქვამს მას კვლავაც ენერგიულ და ყოველ მხრივ დახმარებას.

◆ **სახალხო გვარდიელთა** კახაში ამხანაგმა იოსებ ხოშაშვილმა შეიტანა ბოზარჯიანცის თამბაქოს მუშებში მოგროვილი გვარდიელთა სასარგებლოთ 550 მანეთი და იმავე მუშებში შეგროვილი 40000 ცალი პაპიროსი.

— გვარდიის უმთავრეს შტაბს ამხ. სტეფანოვმა გადასცა საფაროვის თამბაქოს მუშებში შეგროვებული 8400 ცალი პაპიროსი.

— სეილანოვის თუთუნის ქარხანაში მომუშავეებმა მოაგროვეს და გვარდიის შტაბს გადასცეს ამხანაგ ბადჟევის ხელით 4800 ცალი პაპიროსები.

### კ რ ე ბ ე ბ ი.

— კვირას, 19 იანვარს, დილის 9 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის სადგომში (მიხეილის ქ., № 91) შესდგება ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის წევრთა საზოგადო კრება.

— დღეს, 18 იანვარს, ტრამვაის პარკში დანიშნულია სადგურის (ტრამვაის) რაიონის სახალხო გვარდიელთა საზოგადო კრება. ამ კრებაზე მოხდება შტაბის ხელახალი არჩევნები. ამიტომ ვთხოვთ ამხ. გვარდიელებს აუცილებლად გამოცხადდენ საღამოს 5 ს.

# ს ი ა

**თფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნების კანდიდატებისა, წამოყენებული საქ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტისაგან.**

1. ჟორდანია ნოე ნიკოლოზის ძე.
2. ჯიბლაძე სილიბისტრო ბესარიონის ძე.
3. გეგეჭკორი ევგენი პეტრეს ძე.
4. რამიშვილი ნოე ბესარიონის ძე.
5. ელიავა ნიკოლოზ ზურაბის ძე.
6. ლომთათიძე ალექსანდრე სპირიდონის ძე.
7. ჭიჭინაძე ნიკოლოზ (პარმენ) გაბრიელის ძე.
8. არსენიძე რაჟდენ მათეს ძე.
9. კონიევი გიორგი გიორგის ძე.
10. თოფურიძე დიომიდე ალექსანდრეს ძე.
11. გომართელი ივანე გედევანის ძე.
12. გოგუა კალისტრატე გიგოს ძე.
13. რუსია მელიტონ ივანეს ძე.
14. მასალკინი პავლე ივანეს ძე.
15. აუშტროვი რუბენ გიორგის ძე.
16. ბესელიძე იოსებ ეგნატეს ძე.
17. ხახანაშვილი ვასილ თომას ძე.
18. კახიანი პარმენ მიხეილის ძე.
19. ჩიჩუა ზაქარია გიორგის ძე.
20. კაფაროვი ახმედი.
21. სირბილაძე ემელიანე (ემილ) ივანეს ძე.
22. ვეფხვაძე მიხეილ გიორგისძე.
23. სადაგაშვილი გიორგი დავითის ძე.
24. მგელაძე დიმიტრი სერგოს ძე.
25. ბადრიძე ილია გიორგის ძე.
26. ნაცვლიშვილი ალექსანდრე ზაქარიას ძე.
27. ჯაფარიძე სერგო დავითის ძე.
28 ფირცხალაიშვილი ილია გიორგის ძე.
29. დიდიძე ერმილე გიორგის ძე.
30. ირემაშვილი იოსებ გიორგის ძე.
31. ტერ ფარსეგოვა-მახვილაძისა ელეონორა მიხეილის ასული.
32. ლოსკუტოვი ანდრია ვასილის ძე.
33. ბახტაძე გიორგი სიმონის ძე.
34. ხელაძე ალფესი სირმას ძე
35. რუსია ნინა ალექსანდრეს ასული.
36. კრაუტერი ფრიდრიხ იოჰანესის ძე.
37. დვალი დავით სტეფანეს ძე.
38. ხახანაშვილი შალომე იაკობის ძე.
39. რუხაძე ნიკოლოზ პავლეს ძე.
40. ხუნდაძე სიმონ თომას ძე.
41. ფარსეგიანი არშანუშ არკადის ასული.
42. ძებისაშვილი კონსტანტინე დავითის ძე.
43. ელიავა უშანგი თომას ძე.
44. ქლენტი ლეონტი (ვიქტორ) ალმასხანის ძე.
45. ლემლეინ გლებ ალექსანდრეს ძე.
46. გომელაური ივანე მიხეილის ძე.
47. სალირაშვილი კონსტანტინე ალექსის ძე.
48. კოვალიოვი მიხეილ ანდრიას ძე.
49. ბერიტაშვილი ლუკა ზაქარიას ძე.
50 გოგლიძე მიხეილ გიორგის ძე.
51. კიკვაძე თედორე გაბრიელის ძე.
52 ჟორჟოლიანი ალექსანდრე მაქსიმეს ძე.
53. თევზაძე სარდიონ ონისიმეს ძე.
54 კანდელაკი ალექსანდრე გიორგის ძე.
55. ლორია ფილიპე გლახუნის ძე.
56. მაჭავარიანი გიორგი პაატას ძე.
57. მე ხი ივანე საჩინოს ძე.
58. ჩადუნელი დავით გიორგის ძე.
59. რამიშვილი ირაკლი ივანეს ძე.
60. ქავთარაძე პეტრე ივანეს ძე.
61. სოლოღაშვილი ანნა ილიას ასული.
62. მაირანოვსკი აბრამ მოსეს ძე.
63 ქავთარაძე კალენიკე გიორგის ძე.
64. ბურჯანაძე ვარლამ ამირანის ძე.
65. მგალობლიშვილი მიხეილ ფილიპეს ძე.
66. ტოროშელიძე მინადორა ეფრემის ასული.
67. ავაქოვი ივანე ზაქარიას ძე.
68 სულიაშვილი დავით სოკრატის ძე.
69 კავკასიძე პეტრე მოსეს ძე.
70. ხან ახმედოვი აბას ოღლი.
71. ვადაჭკორია სოლომონ ივანეს ძე.
72. შევჩუკი გერასიმე დიმიტრის ძე.
73. ფარქოსაძე სტეფანე ოტიას ძე.
74. რუხაძე არჩილ გერმანის ძე.
75. აბდუშელიშვილი შალვა ზინობის ძე.
76. ხართიშვილი დავით გიორგის ძე.
77. ფოფხაძე გიორგი დავითის ძე.
78. კანტიძე ივანე გიორგის ძე.
79. ჰელიძე მიხეილ გაბრიელის ძე.
80. ათაბეგოვი ვასილ გიორგის ძე.
81. ხუხუნაიშვილი თედორე ქიშვარდის ძე.
82. ბალიანცი მიკირტიჩ ბალახნის ძე.
83. მათიკაშვილი არჩილ კირილეს ძე.
84. იობაშვილი ნიკოლოზ ხარების ძე.
85. გიორგაძე ილარიონ სიმონის ძე.
86. კვერნაძე გიორგი ვასილის ძე.
87. დობორჯგინიძე სამსონ მიხეილის ძე.
88. მამაცაშვილი იოსებ ზაალის ძე.
89. გლახოიანი სარქის კარაპეტის ძე.
90. ეფენდიევი ზიადინი.
91. თამაზაშვილი მიხეილ ალექსანდრეს ძე.
92 ბერიანიძე მარიამი ლეონტის ასული.
93 უზნაძე ზაქარია.
94. ქლენტი ალექსანდრა პორფირეს ასული.
95. ელიაშვილი ნათან დავითის ძე.
96 მარგიშვილი მიხეილ ილიას ძე.
97. მაჭარაძე პოლიკარპე ნიკოლოზის ძე.
98. უსეინაშვილი გიორგი ივანეს ძე.
99. მანჯგალაძე ილარიონ ლევანის ძე.
100. ციგორბინი ნიკოლოზი ვასილის ძე.
101. ისმაილოვი ისმაილი.
102. არველაძე მელიტონი დავითის ძე.

# სალამი მთავრობას

სომეხ-ქართველთა კონფერენციის კეთილად დასრულების და ინგლისიდან მნიშვნელოვან დეპეშის მოსვლის გამო მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ მიიღო 17 იანვარს შემდეგი დეპეშა: „შევიტყეთ სასიხარულო ამბავი. ნება გვიბოძეთ მოგმართოთ თავისუფალ საქართველოს პირველ მოქალაქეს ამის გამო თხოვნით გადასცეთ ჩვენს დემოკრატიულ მთავრობას უღრმესი სალამი—მადლობა. გაუმარჯოს ქართველ ხალხს და მის მეგობარ ერებს! გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს პირველ სახალხო მთავრობას და მის ღირსეულ სახელოვან მეთაურს!“ მოქალაქეთა ერთი ჯგუფის მონდობილობით გრიგოლ დიასამიძე.

იმავე დღეს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევ. გეგეჭკორმაც მიიღო შემდეგი დეპეშა ზემოხსენებულ ჯგუფისაგან: „მოქალაქეთა ერთი ჯგუფის მონდობილობით გილოცავთ თქვენი პოლიტიკის გამარჯვებას, გინატრით დღეგრძელობას, რათა შეასრულოთ ჩვეულებრივ ღირსეულად მამულიშვილური ვალი მრავალტანჯულ დემოკრატიულ სამშობლოს წინაშე და მიიყვანოთ ნორჩი რესპუბლიკა სამშვიდობო საყუდლამდის“.

# საადგილ-მამულო რეფორმა

### ლაგოდეხის რაიონი

ლაგოდეხის რაიონის მიწა წყალი შესდგება სამი მამულისაგან: ჭიაურისა, საყარნაძიანოსი და ანდრონიკაანისა, რომელიც შეიცავს მათ სივრცეს 72,055 დეს. და შესდგება შემდეგის ნაწილებით: 1) მთიანი ტყეებით—24,019 დეს., 2) ვაკე ტყეს უჭირავს—27,833 დეს., 3) სახნავს, სახლ-კარმიდამოს და სხვას შეადგენს—20,203 დეს. მთელი ეს მამული მდებარეობს ალაზნის გაღმა მხარეში შემდეგის საზღვრებით: აღმ.—ზაქათალის ოლქი, დასავლეთით—ძველი გავაზის ახალ სოფელი, სახაზინო მამულები, ჩრდილ.—დაღესტნის მთების ქედი და სამხრ.—მდ. ალაზანი. ამ მთების ძირშია მთელი ეს მამული გაჭიმული და ეს მთები სეფარია ჩრდილოეთის ცივი ქარისა. არც ქართლის სუსხიანი სიცივე იცის. ასე რომ აქ თამამად შეიძლება უმაღლეს კულტურის მცენარეების მოყვანა გაშენება; როგორც თამბაქო ბამბა მოდის, ისე ჩაის ბუჩქის დ ლიმ ნის ფოთოლის მოყვანასაც შეუდგენ ახლად გადმოსახლებულნი იმერელ გურულნი. მთელ ამ რაიონში გაშენებულია 55 სოფელი, სადაც მოსახლეობენ 3450 კომლი.

**ჭიაურის მამული** სივრცით არის 38,949 დეს., ეს მამული ხაზინას ეკუთვნოდა და რუსის მთავრობამ თავის სასარგებლოდ გამოიყენა. უმთავრესად ყურადღების ღირსია დაბა ლაგოდეხი, ეს ცენტრია მთელი ალაზნის გაღმა მხარისა და ნაწილი ზაქათალის ოლქისა.

თითონ დაბა ლაგოდეხს თავის კაზარმებით და სამხედრო პარკით უჭირავს 297 დეს. 1200 კ. ს. და მცხოვრებლებს, რომლებიც ითვლება 212 კომლი, უჭირავთ სახნავი მამული 200 დესეტინაზედ ცოტა მეტი. მცხოვრებლები უმრავლესობა ქართველები არიან. აქვე ლაგოდეხის გვერდზედ ზაქათალის საქარავნო გზა-ტკეცილის მეორე მხარეს გაშენებულია რუსების სოფელი—სლაბოდკა, ზომით არის 1600 დეს., მცხოვრებლები ითვლება 85 კომლი, მათ შორის უმამულონი 30 კომლი იქნება.

1906 წლიდან 1910 წლამდის მოხდა ამ ზემორე სოფლების ჩასახლება, მამული იმდენი მიუზომეს რუსებს, რაც თვითონ არ სჭირდებოდათ, ქართველებზედ, ლაგოდეხლებზე, დესეტინას 80—100—120 მანეთად აქირავებდნენ.

როდესაც რუსის მთავრობამ დაიწყო სოფლების ჩასახლება, სოფ. შრომა-კავშირს შეუზღუდა სივრცე მამულისა, მათი გამინდვრებული მამული ზომით 250 დეს. ჩამოართვა და გადასცა ალექსეევკელებს. აგრეთვე მაწიმზე აჭყარა დასახლებული ქართველება, მათი ცოლშვილი კაზაკებმა სახლებიდან გამორეკეს და მათ ადგილებზედ ჩაასახლეს ხახოლები, სოფელს უწოდეს „ელისავეტოვკა“. ლაგოდეხსაც ჩამოსჭრა ადგილი და რომანოვკას მიუზომა. ამ სოფლების დასახლება მოხდა 1909—1910 წლებში.

შარშან გადმოსახლებული ხახოლები დარწმუნდნენ, რომ კავკასიას ოსმალები დაეპატრონებოდნენ და რუსეთისკენ ჰქნეს პირი. გადასახლდნენ ხახოლები ელისავეტოვკისა, რომანოვკის, ალექსეევკის, ილარიონოვკის, ვარანცოვკის და ივანოვკის,—დარჩენ მხოლოდ სლაბოდკის, მიხაილოვკის და გრაფოვკის მცხოვრებლები.

წასვლისას ამ 478 კომლმა ხახოლებმა მიჰყიდეს ზოგი ქართველებს, ზოგი ლეკებს ნათესი, სახლ კარ მიდამო, კარ ფანჯრები, ფიცრები, ავეჯი და სხვ. აიღეს ფული, როგორც შეჯერდნენ. გადასახლდა 478 კომლი. რუსების ადგილას ჩასახლდნენ ქართველები; ესენი იყვნენ მეტი წილი იმერეთიდან, ზოგი ქართლიდან და ზოგიც ქიზიყიდან. არიან აგრეთვე ახალციხის და ახალ ქალაქის მაზრებიდან—ხიზაბავრელები და ჩუნჩხელები.

800 კომლი უკვე გადმოსახლდა, მაგრამ მათ მოწესრიგებას ჯერ კიდევ ბევრი დრო უნდა, რათა მათ შორის უთანხმოება არ მოხდეს. ახალ სოფლების დაარსების გეგმები ასეთია: უმთავრესი ქუჩის სიგანეა 10 საჟ., რომლის ორსავე მხარეს მოსახლეები ჩამწკრივებულან; ქუჩის შესახვევის სიგანეა 6 საჟ., მინდვრის გზის კი 3 საჟ; სკოლისათვის გადადებულია 10—30 დეს. მამული, კოოპერატივისთვის და კანცელარიისთვის—1 დეს., სასოფლო ბაღსაც 1 დეს. მათი დასახლება მჭიდროდ ხდება, მათი მეურნეობა უმაღლესი კულტურისა უნდა იყოს. აქ ეხლა მესაქონლეობა აღარ გამოდგება, ვინაიდან საძოვრები აღარ რჩება. რუსის სოფლებს შეუცვალეს სახელები და უწოდეს: ივანოვკას—„ჭიაური“, დაშკოვკას—„თამარიანი“, ვარანცოვკას—„ვარდისუბანი“, ილარიონოვკას—„ცოდნის კარი“ და ელისავეტოვკას—„მაწიმი“.

**საყარნაძიანო მამული** მდებარეობს ჭიაურის მამულის გვერდზე და მისი საზღვრებია: აღმ. ზაქათალის საქარავნო გზატკეცილი და ჭიაურის მამული, დასავლეთით—მდ. კაბალი, ანდრონიკაანთ მამული, ჩრდილოეთით—დაღესტანის მთების ქედი და სამხ. მდ. ალაზანი. ამ საზღვრებს შიგნით მამულის სივრცე უდრის 24,833 დეს., რომელშიაც მთა არის—12787 დეს., ბარი კი 12,046 დეს., მხოლოდ ბარში კიდევ იქნება ნახევარი ტყე—განსაკუთრებული მამული. გაშენებულია 18 სოფელი და მცხოვრებლები ითვლება 990 კომლი. ამ სოფლებში ოთხი სოფელი გაშენდა წელს: ხიზაბავრა, გურგენიანი, ალი-ჩალი „ბუტულიანი“ და პატარაველი.

გაშენდა სოფლები. გადმოსახლებულნი უფრო იმერლები არიან, ქართლიდანაც არიან—უფრო კი სურამ-ხაშურ-გომის რაიონებიდან.

**ანდრონიკაანთ მამული** მდებარეობს საყარნაძიანოს გვერდით და ამ მამულების გაგრძელება ალაზნის პირას ძველ გავაზის მიდამომდის. ამ მამულის სივრცე შეიცავს 8,271 დეს., ამაში სამი წილი გამინდვრებულია, ერთი წილი კი ისევ ტყეა, ორი საზოგადოება შილდის ახუნისა და ლელიანისა, სადაც გაშენებულია 28 სოფ., რომელშიაც მცხოვრებნი ითვლებიან 1000 კომ. აგრეთვე ამავე მამულზედ კართუბნის საზოგადოების ოთხი სოფელია გაშენებული—104 კომლით. ეს 1104 კომლი ნახევარი ქართველები არიან და ნახევარი ოსები.

მისდევენ ხვნა-თესვას, უფრო კი ვენახის მოვლას. მეტი წილი ამ მამულისა მცხოვრებლებს შეძენილი აქვთ ბანკების საშუალებით საკუთრებათ, ვისაც შეუძენია აქვთ, სეიჯარო მამული კი ცოტაღაა დარჩენილი.

**მთის ტყეები** შეიცავს 24,019 დეს. გარდა იმ სახაზინო ტყისა, რომელიც მდებარეობს ანდრონიკაანთ მამულის გარშემო, ვაკე ტყეს უკავია 27,833 დეს, მთელი ყურადღება მთის ტყეებზე უნდა იყოს მიქცეული, ვინაიდან მდინარეები: მაწიმის ხევი, ლაგოდეხის ხევი, მიხაილოვკის წყალი, ნინოწმინდის ხევი, მდ. კაბალი, მდ. არეში იღებენ სათავეს ამ მთებიდან და, თუ არ შეჩერდა ტყეების წარამარა ჩეხვა, ათის წლის შემდეგ ეს ამოდენა სოფლები უწყლოდ დარჩებიან. რაც შეეხება ვაკე ტყეს, მთელი მცხოვრებლები აქედან უნდა სარგებლობდნენ, რადგან სულერთია, ეს ტყიანი ადგილები სახნავათ უნდა გადაიქცნენ.

ლაგოდეხის რაიონის მიწების მიმღებ კომისიაში შედიოდნენ: სიღნაღის სამაზრო საადგილ-მამულო სამმართველოს წარმომადგენელი ალექსანდრე ხვიჩინიშვილი, სიღნაღის სამაზრო კომისარიატის წარმომადგენელი ლაგოდეხის რაიონის კომისარი ზაქარია ზედგინიძე-შვილი და ყველა სოფლის კომისარი, სადაც საქმეს გვწყობდით, ორი მიწის მზომელი, მხოლოდ ერთი ადრე გაიწვიეს უკან.

მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზის გარეშე მაინც ჩვენმა კომისიამ 2 ივლისიდან 29 აგვისტომდის ჭიაურის მამულში მიიღო საერთო ჯამი 6350 დეს. 440 კ. ს. ამაში ნორმა შედის 56 დეს.. საყარნაძიანო მამულში მიიღო 2 სექტემბრიდან 4 ნოემბრამდის 11,775 დეს. ამაში შედის ტყე 5934 დეს., ნორმა შედის 70 დეს. ნასყიდობაც არის 453 დეს. საყარნაძიანო მამულში მისაღებია ტყეს გარდა 5812 დეს. 1510 კვ. ს. და ანდრონიკაანთ მამულიც 8.271 დეს. აქტები დაიწერა სულ 80 ცალი. ჩვენ კომისიაზე დაიხარჯა 14 ივნისიდან 26 ნოემბრამდის 19.198 მანეთი.

თავმჯდ. კომისიისა დ. გ. ფალავანდი.

# პროვინცია

**მართაწმინდა** (გორის მაზრა, ახალქალაქის რაიონი). ამ სოფლის ახლო არის ეგრეთ წოდებული, სამკლესიო ტყე, დაახლოვებით ოთხას დესეტინამდის სივრცით, რომელიც

განსაკუთრებით მასალის ტყეთ ითვლება და რომელიც ოცდაათი წელიწადის განმავლობაში შეკრული იყო, როგორც გასაჩეხელი სამასალო ტყე. რევოლუციის პირველ დღიდანვე ახალქალაქის რაიონის ხელმძღვანელებმა ნ. კაციაშვილმა და სამადაშვილმა განსაკუთრებით ყურადღება მიაქციეს, როგორც საზოგადოთ ყველა ტყეების დაცვის საქმეს, ისე მით უმეტეს, ხსენებული სამასალო ტყეს. ყოველივე ცდა ამ ტყის გასაკაფათ მიმართული ყოველთვის თავიდან აცილებული. ამნაირათ ეს საუკეთესო განძი ხალხის ცხოვრებისა, დღემდე დაცული იყო სრულებით. დღეს ეს ტყე საცოდავ და სამწუხარო სანახაობას წარმოადგენს, რადგანაც ბ. რაიონის მეთაურების უყურადღებობის და, როგორც ამბობენ, მათივე დახმარებით ხსენებული ტყე გაკაფული და განადგურებული იქმნა სხვადასხვა სოფლის შეძლებული გლეხების მიერ. მხოლოდ დაგვიანებული ზომები რაიონის მეთაურებისა გამოიხატა იმაში, რომ გლეხებს გააზიდვინეს ხე-ტყე და როცა უხაროდ დარჩენილი გლეხები ერთი კვირის შემდეგ, რაც ტყე გაიკაფა, წავიდნენ ტყეში გაკაფული და ძირ ნაყარი შეშა ფიჩხის მოსატანათ, მათ დაუყენეს მილიციონერები გზაში და სწორედ იმ საწყალ გლეხებს წაართვეს გაკაფულ ტყეში ძირ ნაყარი შეშა და კომისარიატში მიატანინეს.

ერთაწმინდელი.

## ს.-დემ. პარტიაში

**ხუფსა.** 11 იანვარს შესდგა სუფსის კოლექტივის კრება. დღის წესრიგი იყო შემდეგი: მოხსენება „იაჩეიკებიდან", მოხსენება გურიის ცენტრიდან, კომისიის მოხსენება, ბრძოლა ბოლშევიკებთან, პრეზიდიუმის განცხადება, კომისრის განცხადება, დამფუძნებელი კრება და სამკითხველოს შესახებ.

„იაჩეიკების" წარმომადგენლების მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ზოგიერთ „იაჩეიკაში" მუშაობა გაჩერებულია. კრებამ დაადგინა გაიგზავნოს ამხანაგები იქ მუშაობის გასაჩაღებლად.

გურიის ცენტრიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ნ. ურუშაძე. მოისმინა რა კრებამ მოხსენება, მიიღო ერთხმად. მხოლოდ, რაც შეეხება ცენტრთან არსებულ სამოქალაქო სექციას, სურვილი გამოითქვა, რომ ყოველთვის სექცია ხელმძღვანელობდეს ც. კ. დირექტივებით. საარჩევნო ფონდის შესახებ დადგენილ იქნა შემდეგი: პარტიის თვითეულმა წევრმა გადაიხადოს ერთი დღის შემოსავალი, მხოლოდ ვინც თვიურად არ იღებს ჯამაგირს მან გადაიხადოს 5 მან., რომელიც უნდა შემოვიდეს კოლექტივის მოლარესთან არა უგვიანეს 20 იანვრისა. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა დაევალა კოლექტივს.

ქურდების წინააღმდეგ მებრძოლ კომისიის წევრი ვრცლად მოახსენებს კრებას მათ მოქმედებას. ამ კითხვაზე კრებამ დაადგინა შემდეგი: არჩეულ იქნეს დამატებითი კომისია კოლექტივიდან ორი კაცისაგან შემდგარი, რომელიც იმუშავებს არსებულ კომისიასთან ერთად, შეთანხმებით ადმინისტრატიულ ძალასთან.

რადგან ზოგიერთ „იაჩეიკებში" მუშაობა სუსტობს და ესაჭიროება დახმარება, კრებამ დაადგინა: გაიგზავნოს მცოდნე პირები, რომლებიც ჩამოივლიან ყველა „იაჩეიკებს" იქ, სადაც საჭიროება მოითხოვს და შემდეგ საერთო აზრით გამოვლენ კოლექტივში. კოლექტივის მდივანი პრეზიდიუმის სახელით მოითხოვს წლიური რევიზიის მოხდენას, რაზედაც კრებამ დაადგინა: სარევიზიო კომისიის არჩევა გადადებულ იქნეს საზოგადო პარტიულ კრების მოწვევამდე. საზ. კომ. ქ. ევგენიძე მოითხოვდა რევიზიას მის რწმუნებულ სამმართველოში. მოისმინა კრებამ ქ. ევგენიძის განცხადება და დაადგინა: კოლექტივი უცხადებს მას ნდობას და გადადის შემდეგ კითხვაზე. სამკითხველოს შესახებ დაევალა პრეზიდიუმს დაჩქარებით მოიწვიოს წევრთა კრება.

ბ. ჭანტურია.

**ს. წყვა** (შორაპ. საზოგადოება). 30 დეკემბერს აქ შესდგა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატების კრება. ყვ. რაიონ. კომიტეტის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. ა. ე—ძემ. ის შეეხო საერთო მდგომარეობას და კერძოთ სომხეთ-საქართველოს ომს. ბოლოს მომხსენებელმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ორგანიზაციულ კითხვებს. რადგან კრებას შემთხვევით ვერ დაესწრენ ბევრი ამხანაგები, კრებამ აირჩია დროებითი პრეზიდიუმი და დაავალა მას ჩაწერა წევრების და მოწვევა გაფართოვებული კრების შობის მეორე დღისთვის. არჩეულ იქმნენ: 1) თავმჯდ. სიმ. გაჩეჩილაძე, 2) მდივ. ალ. გაჩეჩილაძე და 3) ხაზ. ბეს. გაჩეჩილაძე.

ა—ოხი.

## მუშათა შორის

**თფილისი.** 15 იანვარს შესდგა მზარეულთა საერთო კრება, რომელიც მესამეთ ყოფილა მოწვეული. და კანონიერ კრებათ იქნა მიღებული. კრების მიზანი იყო ახალი გამგეობის არჩევა. კრებამ ერთხმად აირჩია კავშირის ხელმძღვანელათ ამხ. ბ. დვალი. ამხ. ბ. დვალი, როგორც კავშირის დამაარსებელი, შესძლებს და აღადგენს სულთმობრძავ კავშირს. მასთანვე იმედია ყველა ამხანაგები დაეხმარებიან.

დამსწრე.

**თფილისი.** 27 დეკემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, მოხდა ქალაქის სასაკლაოში სალახთა საერთო კრება. დღის წესრიგში იყო 1) თანამედროვე მომენტი, 2) სომხეთთან ომში დაღუპულთა ოჯახების ნივთიერათ დახმარება, 3) ამხანაგების ჩაწერა სახალხო გვარდიაში. კრებას თავმჯდომარეობდა დიმიტრი ჩუბინიძე. მდივანი შ. ხამაშურიძე.

მოხსენებას აკეთებენ ამხ. ბოკერია და გიორგი კვერნაძე თანამედროვე მომენტზე.

მოისმინა რა მოხსენებები სალახების საერთო კრებამ თანამედროვე მომენტზე, გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „სალახების საერთო კრება გულმხურვალეთ მიესალმება მთავრობას და მხარს უჭერს მთავრობის ყოველივე ნაბიჯებს და სასტიკ პროტესტს უცხადებს სომხეთის მთავრობას, რომ შოვინისტური სულით გაჟღენთილმა ჯარმა ქურდულათ დაარღვიეს ჩვენი საზღვრების მცველები და გადმოლახეს საზღვრები. ჩვენ ყველანი განურჩევლად ეროვნებისა მზათ ვართ ჩავდგეთ სისხლით მოპოვებულ თავისუფლების დარაჯათ. ჩვენ ყველანი მზათა ვართ წავიდეთ საქართველოს დემოკრატიის და მის დამოუკიდებლობის მტრების წინააღმდეგ და სასიკვდილო ლახვარს ჩავსცემთ გულში ყველას, ვინც უქადის ჩვენს სამშობლოს განადგურებას და ვაი მას, ვინც შეებედება მუშის მახვილს".

საერთო კრებამ ერთხმათ გადასწყვიტა გადასცეს 2000 მანეთი სომხეთთან ომში დაღუპულთა ოჯახების სასარგებლოთ და აგრეთვე გვარდიაშიაც ჩაეწერნენ რამოდენიმე ამხანაგები.

მდივანი შ. ხამაშურიძე.

## ჩვენი ჯარისათვის

ქართველ მეომართა სასარგებლოთ ქალთა მე-7-დე გიმნაზიაში გარდა ნივთებისა შეგროვილ იქნა: მოწაფეთაგან—367 მან. 20 კაპ., მასწავლებელთაგან (ერთი დღის ჯამაგირი)—316 მან. 50 კაპ. და გიმნაზიაში გამართულ საბავშვო კინემატოგრაფისგან 1673 მან. 60 კაპ. სულ 2357 მან. 30 კაპ. ეს ფული გადაეცა მეომართა დამხმარე მთავარ კომიტეტს. გიმნაზიის სამეურნეო კომიტეტი უღრმეს მადლობას სწირავს ყველა მათ, ვინც თვისი წვლილი არ დაიშურა ამ წმიდა საქმისათვის. განსაკუთრებულ მადლობას ვუძღვნით კინემატოგრაფიულ ლენტების კანტორის „კოლხიდას" პატრონს ტ. ი. გადელიას.

ქალთა მე-7 დე გიმნაზიის სამეურნეო კომიტეტის მონდობილობით ა. ალშიბაიხა, თ. ბებურიშვილიხა.

საქართველოს რესპუბლიკის მეომართა დამხმარე კომიტეტში შემოვიდა შემოწირულება ფულად: 1) წმ. ნინოს გიმნაზიის მოწაფეთაგან—700 მან., 2) გრ. ბერიძისაგან—17 მან., 3) ელენე ჭიჭინაძისაგან—23 მან., 4) ნინო ქართველიშვილისაგან ქართ. საქალაქო სკოლის მოწაფეთა შორის შეგროვილი—35 მ. 65 კ., 5) გიორგი კაბაბრიშვილისაგან—სოფ. ნორის საზოგად.—600 მან., 6) კაპ. გიორგაძისაგან და ვლადიმ. ლომინაძისაგან შეგროვილი მუშებსა და ჯარ.-კაც. 646 მ., 7) კაპ. გიორგაძისაგან და ვლ. ლომინაძისაგან, გენ. ლევ. ვაჩნაძისაგან—100 მან., 8) ტარასი ფარჯანიძისაგან—50 მან., 9) ფოთის ქალთა საზოგად. თაოსნობით შეგროვილი—3715 მან. 45 კაპ., 10) მიხ. კაპანაძისაგან - 8 მან., 11) ეკ. ყავრიშვილისაგან—100 მ., 12) ან. ბეგთაბეგიშვილისაგან—200 მ., 13) ალ. ალანიასაგან შინაგან საქმ. სამინ. შეგროვილი 763 მან., 14) შრომის კოოპერატივისაგან—1000 მან., 15) გიორგი მარშანიასაგან—1000 მ., 16) მიხეილ შავლაყაძისაგან—500 მ., 17) გზირიშვილისაგან—25 მ., 18) გურგენიძისაგან—20 მ., 19) მამუჩარაშვილისაგან—5 მ., 20) კონ. დოლიძისაგა—500 მ., 21) თეოფ. გოლაძისაგან 500 მ., 22) გრ. არჩვაძისაგან—200 მ., 23) პოლ. ჩოპიკაშვილისაგან და ექიმ მირზაშვილი ჩოპიკაშვილისაგან—500 მ., 24) ან. გაბაშვილისაგან—3 მ., 25) ვლ. თავართქილაძისაგან—100 მ., 26) მარ. აბაშმაძისაგან—100 მ., 27) პოლიკარპე ჩხიკვიშვილისაგან—500 მ., 28) მესამე ვაჟთა გიმნაზიისაგან—615 მ., 29) ეკა დადიანისაგან—25 მ., 30) საქალაქო წყნეთის სასწავლებლის მშობელთა და მოწაფეთაგან—63 მ. 70 კ.

## წერილი რედაქციის მიმართ

მოწ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ საშუალება მოგვცეთ სიმართლის აღსადგენად საზოგადოებას ვამცნოთ შემდეგი:

15 იანვრის „სახალხო საქმეში" მოთავსებულია სოციალ-ფედერალისტების მეთხე ფედერალური საბჭოს კრების ანგარიში. ამავე საგანს ეხება მეთაური გაზეთისა და განსაკუთრებული მოწოდება, სადაც არის აღნიშნული, რომ ალ. წერეთლის პირადი ინტერესების მიხედვით მოქმედების გამო, მცირე ჯგუფმა დისონანსი შეიტანა საბჭოს მუშაობაში, რის გამოც ალ. წერეთელი, როგორც პარტიის მავნე წევრი, საბჭომ პარტიიდან განდევნა. ეს ცნობა სრულიად არ შეესაბამება სიმართლეს. ნამდვილად საქმე ასე იყო: დიდი ხნიდან პარტიაში წარმოებული ოპოზიცია მუშების მიერ ამ კრებაზე ლოღიკურ დასკვნამდე მივიდა, რადგან პარტიის ხელმძღვანელებმა არა თუ არ მოისურვეს ოპოზიციასთან შეთანხმება და ერთსულოვანი მუშაობა, პირიქით სასტიკი დევნა დაუწყეს მას. ამის გამო ოპოზიციამ, რომლის დავალებითაც გამოდიოდა ამხ. ალ. წერეთელი, შეუძლებლად დაინახა დარჩენილიყო ძველი პარტიის ფარგლებში და, გამოეყო რა ფედერალურ საბჭოს, დააარსა დამოუკიდებელი პარტია მემარცხენე სოციალისტ ფედერალისტებისა. არავითარ პირად გამოსვლას ალ. წერეთლისაგან ადგილი არ ჰქონია, იგი ყოველთვის ჩვენის დავალებით მოქმედებდა.

რათა საზოგადოებამ ნათლად დაინახოს ძველი პარტიის ხელმძღვანელების ყოვლად მიუტევებელი ცალმხრივობა, ვაცხადებთ, რომ ოპოზიციამ 13 იანვრის საღამოს ფედერალურ საბჭოს სხდომას თავისი დელეგატის, ალ. წერეთლის პირით ოფიციალურად განუცხადა, რომ იგი ოპოზიცია პარტიიდან გადის და აარსებს დამოუკიდებელ პარტიას. მაშასადამე, სრულიად შეუფერებელი და ყოველ ეტიკეტს მოკლებულია განცხადება ფედერალური საბჭოსი, რომ რიცხავს პარტიიდან მხოლოდ ალ. წერეთელს და ისიც მავნე მოქმედებისათვის.

თუ რა საფუძველზე დაშორდა ოპოზიცია ძველ პარტიას, ამას ჩვენი პარტია ცალკე აცნობებს ფართე საზოგადოებას.

აქვე მოგვყავს სია იმ დელეგატებისა, რომელიც შედიოდნენ ოპოზიციაში.

1) იაკობ ფანცხავა (ქუთ. საგუბერ. კომიტეტი); 2) ისიდორე ვარაზაშვილი (შორაპნის კომიტეტი); 3) გიორგი ჯანდიერი, სერგო გერსამია (ქუთაისის მუშათა კავშირი); 4) ალექსანდრე იოსელიანი, ნიკო უსტიაშვილი (თფილისის მუშათა კავშირი); 5) ალექსანდრე ჯაფარიძე (რაჭის სამაზრო კომიტეტი); 6) ალ. წერეთელი (მუშათა კავშირების მთავარი გამგეობა); 7) გიორგი სულთანიშვილი (მუშათა კავშირების მთავარი გამგეობა); 8) გიორგი შავიშვილი (გურიის სამაზრო კომიტეტი); 9) ერმილე კვერცხაძე (თფ. სამხედრო საბჭო).

ამ ოფიციალურ დელეგატების გარდა პარტიის დამფუძნებელი კრების ოქმს ხელს აწერენ სხვადასხვა ორგანიზაციის 11 წევრი, რომლებიც სტუმრებად დაესწრენ კრებას. *)

საქ. მემ. სოც.-ფედ. მაშვრალთა პარტიის მთავარი კომიტეტი.

*) ვათავსებთ ამ წერილს, რომ საშუალება მივცეთ ს.-ფედ. პარტიიდან გამოყოფილ ნაწილს თავისი აზრის გამოთქმის. წერილი იბეჭდება უცვლელად და ავტორის სრული პასუხისმგებლობით.

რედ.

## ცნობები

23 დეკემბერს სადახლოსთან ბრძოლის დროს ჭრილობისაგან გარდაიცვალა უფროსი უნტერ-ოფიცერი 1-ლი მსროლელ პოლკისა შალვა სალაძე. დასაფლავებულია სოფელ სადახლოში.

24 დეკემბერს ჭრილობისგან გარდაიცვალა სომხების სანიტარულ მატარებელში მე-5-ე პოლკის ჯარისკაცი შაქრო ბარამაშვილი.

ფერშალი შალვა გოზალოვი.

თფილისში ჩამოვიდა ავადმყოფი გურიის სახალხო გვარდიის თავმჯდომარე ამხანაგი ისიდორე კვაჭანტირაძე, რომელიც წევს ვ. ჩხაიძის ბინაზე (თხინვალის ქუჩა, № 20) ავათ არის მუცლის ტიფით. იმედია მალე კარგად გახდება.

ვ. ჩხაიძე.

## განცხადებანი


კბილის სამკურნალო კაბინეთები

თეოდორე საყვარელიძე და ცხოვრებელიძისა

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ექიმი მ. ა. შაფრანი.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

ვაიხსნა თვალის სამკურნალო (მუდმივი საწოლებით)

ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

რენტგენის და ელექტრ. სამკურნ. კაბინეთი მედიცინის დოქტორის

გ. მერაბოვისა

(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა. მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების, ჭლექის ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ღვიძლისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ხაწყლებს უფასოდ.

ექიმი

ა. ნ. შატილოვი

იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სუმბათოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

ექიმი

კეკელია

იღებს ვენერიულ სნეულებიან ავათმყოფთ (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნორდ" პირდაპირ. ტელ. 14—28.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—1½ საათამდე, საღამოს 5—6 ½, მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 18—65.

მადლობას უძღვნი

იმ ძვირფას ამხანაგებს მე 12 კომისარიატისას, რომლებმაც დახმარება აღმომიჩინეს ფულად 275 მანეთით ჩემი ძვირფასი შვილის გრიშას დაკრძალვის დროს.

მე 12 კომისარიატის მილიციონერი დიმიტრი წიტაიშვილი.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა

შაბათს 18 იანვარს, საბანეევას, ვიშემირსკაიას, იანსის, მიროზოვას, ზაკრევსკის, პოლიაევის, ვრონსკის და ისეცკის მონაწილეობით

კამორა

კვირას, 19 იანვარს, დილით „რიგოლეტო", საღამოს „რუსლანი და ლუდმილა".

დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი"

შაბათს, 18 იანვარს ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საფინანსო კომისია, ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების სასარგებლოდ მართავს

დიდ სალიტერატურო საღამოს

შემდეგი პროგრამით: 1) ლექცია „საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო" წაიკითხავს საქართველოს პარლამენტის წევრი ალ. ლომთათიძე. 2) „მუშტაიდის" დემოკრატიულ კლუბთან არსებულ სცენისმოყვარეთა წრის მიერ, ნ. სარიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან ახლად გადმოკეთებული პიესა მოსია უბედური დრამა 2 მოქმ. 3) სალიტერატურო განყოფილება. მონაწილეობას მიიღებენ: ვ. რუხაძე, შ. მღვიმელი, გ. ქუჩიშვილი, ნ. ჩხიკვაძე, ობოლი მუშა, დ. მეჩიტნერე, როინაშვილი და სხვები. 4) იუმორისტული განყოფილება. მონაწილეობენ: ნ. გოცირიძე, აპ. წულაძე, ნ. სარიშვილი და სხ. ბილეთები გაიყიდება შაბათს დილით 10—1 და საღ. 6 საათ. საღამოს გათავებამდე თეატრის კასაში. დასაწყისი საღ. 6 საათზე.

საღამოს მომწყობი კომისია.

ახალგაზრდა მარქსისტთა საყურადღებოთ!!

კვირას, 19 იანვარს, დილის სრულ 11 საათზე მე-4 რაიონის ს. დ. ბიუროს ახალ ბინაზე ოლღას ქუჩა № 29, ახალგაზრდა მარქსისტთა თფილისის კომიტეტი იწვევს

საერთო კრებას

წევრებისა და თანამგრძნობთა, სადაც მოხსენებას გააკეთებენ პარლამენტის წევრნი: ლ. ნათაძე და რ. ჩიხლაძე სადღეისო მუშაობის შესახებ. აგრეთვე განსახილველია სხვა ფრიად საყურადღებო საკითხები, რომლის გადადება ყოვლად შეუძლებელია. ვთხოვთ ამხანაგებს, რომ დაესწრონ.

საჭიროა საქმის მწარმოებელი

ქართულის მცოდნე თფილისის სადარაჯო რაზმისთვის; ჯამაგირი 725 მანეთი თვეში და ჯარის-კაცის ულუფა. გაგება შეიძლება 9—3 საათამდე. მისამართი: ავლაბარი, კახეთის ქ. № 25. (2—1)

საქ სოც. დემ. მ. პ. თფილისის კომიტეტის ქ. თფილისის საარჩევნო

ცენტრალური ბიურო

მოთავსებულია თფილისის კომიტეტის ბინაზე, გოლოვინის პროსპ. № 24, სახლი არაფელოვისა. ღიაა ყოველ დღე განუწყვეტლივ დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე. ბიურო იძლევა ყოველგვარ საჭირო ცნობებს.

სამასწავლებლო კურსები

გორის სამაზრო ერობის ინიციატივით და მის ხარჯზე ქ. გორის სახელმწიფო სემინარიაში იხსნება სამასწავლებლო მოსამზადებელი კურსები თებერვლიდან, სადაც სწავლა გაგრძელდება 5—6 თვეს. კურსებზე მიიღებიან ორივე სქესისა ყველა, ვისაც აქვს გათავებული არა ნაკლები ოთხი კლასისა. სწავლა უფასოა. მსმენელებს მიეცემათ აგრეთვე უფასოდ ბინა გათბობით და განათებით. თხოვნები უნდა გამოიგზავნოს გორის სამაზრო ერობის გამგეობაში. (7—2)

კვირას, 19 იანვარს, დილის 11 საათზე, საქართველოს პარლამენტში და სამინისტროში მოსამსახურეთა ეკონომიურ საზოგადოების შენობაში (ევანგულოვის ქ. № 2) შესდგება ხსენებულ საზოგადოების წევრთა მეორე

საგანგებო საზოგადო კრება

რომელიც კანონიერი იქნება, რამდენიც არ უნდა დაესწროს წევრი. დღის წესრიგი: 1) გამგეობის მოხსენება, 2) წესდების შეცვლა, 3) 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და 4) მიმდინარე საკითხები. საჭიროა თან იქონიონ საწევრო წიგნაკები რეგისტრაციისთვის.

(3—2) გამგეობა.

კვირას, 19 იანვარს, კადეტთა კორპუსის დარბაზში (გოლოვინის პრ.) გაიმართება კოოპერატივებში მომუშავეთა ბავშვებისათვის

„შობის ხე"

დასაწყისი შუადღის 12 საათზე, საღამოს იქვე 8 საათიდან მოეწყობა კოოპერატორთა საღამო. შესვლა, როგორც საღამოზე, ისე შობის ხის დღესასწაულზე უფასოა. (3—2)

20 იანვრიდან იხსნება

ქართული საბავშვო ბაღი

გამოცდილ პედაგოგების ხელმძღვანელობით. შემოღებული იქნება სწავლა ფრანგული ენისაც. მიიღება ბავშვები 5—8 წლამდის. მისამართი: მიხეილის ქ. 107, ყოველდღე შუადღის 12—2 ს. (7—3)


მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაზაფხულის შესახვევი. № 1.